ეთნიკურ და რელიგიურ უმცირესობებთან დაკავშირებული საკითხების გაშუქება

დამხმარე სახელმძღვანელო ჟურნალისტებისათვის



სოციალური
სამართლიანობის
ცენტრი

ეთნიკურ და რელიგიურ უმცირესობებთან დაკავშირებული საკითხების გაშუქება

დამხმარე სახელმძღვანელო ჟურნალისტებისათვის

სოციალური სამართლიანობის ცენტრი
თბილისი, 2023

ხელმძღვანელი: თამთა მიქელაძე, სალომე აჩბა
ავტორი: ლაშა ქავთარაძე
რედაქტორი: მედეა იმერლიშვილი
ყდის დიზაინი: სალომე ლაცაბიძე

აკრძალულია აქ მოყვანილი მასალის გადაბეჭდვა, გამრავლება ან გავრცელება კომერციული მიზნით, სოციალური სამართლიანობის ცენტრის წერილობითი ნებართვის გარეშე.

ციტირების წესი: *სოციალური სამართლიანობის ცენტრი, ლაშა ქავთარაძე, „ეთნიკურ და რელიგიურ უმცირესობებთან დაკავშირებული საკითხების გაშუქება: დამხმარე სახელმძღვანელო ჟურნალისტებისათვის“, 2023*

© სოციალური სამართლიანობის ცენტრი

მისამართი: ი. აბაშიძის 12ბ, თბილისი, საქართველო
ტელ.: +995 032 2 23 37 06

www.socialjustice.org.ge
info@socialjustice.org.ge
https://www.facebook.com/socialjustice.org.ge

ადამიანებს, ჩვენ შორის არსებული განსხვავებები კი არ გვყოფს, არამედ ჩვენივე უუნარობა, ეს განსხვავებები ვაღიაროთ, მივიღოთ და ვიზეიმოთ.

ოდრი ლორდი *-*

ამერიკელი ფემინისტი მწერალი და აქტივისტი

შესავალი

2005 წელს ყველაზე დიდმა ყოველდღიურმა გაზეთმა დანიაში, Jyllands-Posten-მა, ისლამის თემაზე 12 კარიკატურა დაბეჭდა. ერთ-ერთ კარიკატურაზე გამოსახული იყო ისლამის დამაარსებელი მოციქული მუჰამედი, რომელსაც თავზე ხელყუმბარის ფორმის თავსაფარი ეხურა. მღელვარება და საპროტესტო აქციები, რაც კარიკატურების გამოქვეყნებას მოჰყვა სხვადასხვა ისლამურ ქვეყანაში, თვეების განმავლობაში გაგრძელდა და რამდენიმე არაბული ქვეყნის ელჩის დანიიდან გაწვევითა და არაბულ ქვეყნებში დანიური პროდუქციის ბოიკოტით დასრულდა. მალევე გაირკვა, რომ იმავე რედაქტორმა ორი წლით ადრე იესო ქრისტეს მსგავსი ტიპის კარიკატურების დაბეჭდვაზე უარი თქვა, იმ მოტივით, რომ გამოსახულებები ქრისტიანთა გრძნობებს შეურაცხყოფდა (Fouché, 2006).

ერთი წლის თავზე გაზეთის რედაქტორმა ოფიციალურად მოიხადა ბოდიში მუჰამედის კარიკატურის გამოც (Watt, 2006), თუმცა დაპირისპირება, რომელიც დანიაში ეთნიკური და რელიგიური უმრავლესობისა და უმცირესობის ჯგუფებს შორის წარმოიშვა, წლების განმავლობაში გაგრძელდა. ამ დაპირისპირების ერთ-ერთი მთავარი ფრონტის ხაზი კი გაზეთის ფურცლებზე გადიოდა. როგორც სოციალური კვლევების დანიური ეროვნული ცენტრის მკვლევრები აღნიშავენ, კარიკატურების გამოქვეყნებიდან 5 წლის შემდეგაც კი, წამყვან გაზეთებში გრძელდებოდა „მუსლიმებისა და ისლამის ნეგატიური კუთხით წარმოჩენა და დასული იყო ისეთ თემებამდე, როგორიცაა ექსტრემიზმი, ტერორიზმი და შარიათი, მაშინ, როდესაც პოზიტიური ქმედებები და კრიტიკული საკითხები, მაგალითად - რასიზმი და მუსლიმთა დისკრიმინაცია, თითქმის გაქრა მედიაში“ (Jacobsen et al., 2012). შედეგად, დანია დღემდე მიიჩნევა ქვეყნად ევროპაში, სადაც ინსტიტუციონალიზებული დისკრიმინაციის ნიშნები ჯერ კიდევ იოლი ამოსაცნობია. მაგალითად, ქვეყანაში მოქმედებს ე.წ. „გეტოების კანონი“, რომლის მიხედვითაც, ამა თუ იმ საცხოვრებელ არეალში მხოლოდ კონკრეტული რაოდენობის არადასავლეთევროპული წარმოშობის

მცხოვრებს შეუძლია იქირაოს ან იყიდოს ბინა, ემიგრანტების დიდი რაოდენობით კონცენტრაციის თავიდან ასაცილებლად (Seemann, 2021).

დანიის ეს კონკრეტული მაგალითი ცხადყოფს, თუ რა გავლენა შეიძლება იქონიოს ერთი თემის გაშუქებამ მედიაში კონკრეტული სოციალური ჯგუფების თუ მთლიანად საზოგადოების ცხოვრებაზე. თავისთავად ცხადია, რომ რელიგიური და ეთნიკური უმცირესობებისთვის არახელსაყრელი გარემოს შექმნა კომპლექსური სოციალურ-პოლიტიკური საკითხია, თუმცა ცალსახად შეიძლება ითქვას, რომ ამ გარემოს შექმნაში მედია განსაკუთრებულ როლს ასრულებს.

1990-იანი წლების ბოლოდან მოყოლებული, მას შემდეგ, რაც საქართველოში მედიაპლურალიზმი, შეზღუდულად, თუმცა მაინც ჩნდება, საზოგადოებაში მედიის როლის ლიბერალურ დემოკრატიებში არსებული გაგება იკიდებს ფეხს. ამ გაგების არაერთი კრიტიკის მიუხედავად, მათ შორის, კომერციალიზაციისა და ელიტიზმის გამო, მის უპირატესობაზე საუბრისას სამ მთავარ ასპექტზე ამახვილებენ ყურადღებას: ინფორმაციის გავრცელების თავისუფლება გარეშე ჩარევებისაგან დამოუკიდებლად, უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის ფარგლებში სახელმწიფო ინტერესების გათვალისწინება და ინდივიდების, ჯგუფებისა და მთლიანად საზოგადოების დაცვა მედიის მავნე ზეგავლენისაგან (Keller, 2011). წინამდებარე გამოცემა ამ სამიდან განსაკუთრებით ბოლო ასპექტზე შეჩერდება, ვინაიდან მიზნად ისახავს, რომ ეთნიკურ და რელიგიურ უმცირესობებთან დაკავშირებული საკითხების მედიაში გაშუქების დამხმარე სახელმძღვანელოს ფუნქცია შეასრულოს.

ეთნიკურ და რელიგიურ უმცირესობებთან დაკავშირებული საკითხების გაშუქების მნიშვნელობაზე საუბრისას, გვერდს ვერ ავუვლით მსჯელობას ზოგადად მედიის როლზე, საზოგადოების ჰარმონიულ თანაარსებობაში (Social cohesion). საზოგადოების ჰარმონიული თანაარსებობის ცნება გულისხმობს, რომ ერთ სივრცეში თანამცხოვრებ საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფს სჭირდება ერთგვარი შემკვრელი, შემაკავშირებელი ღირებულებითი ორიენტირები, რომლებიც მათ დაეხმარება, რომ ხანგრძლივი დროის განმავლობაში შეძლონ ერთიან საზოგადოებად არსებობა და სხვა საზოგადოებებისაგან საკუთარი თავის განსხვავებება (Jakubowicz, 2007). ამ თვალსაზრისით გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება საჯარო სივრცის ცნებას, რომლის ფარგლებშიც ყალიბდება სწორედ ამგვარი შემაკავშირებელი ღირებულებითი ორიენტირები და რომლის გაჩენასა და განვითარებაშიც განსაკუთრებულ როლს ასრულებს მედია (Habermas, 1991). თუმცა მედიასა და მედიის როლზე საუბრისას,

განზოგადებების ხარჯზე, ზოგჯერ ნაკლები ყურადღება ეთმობა უშუალოდ ჟურნალისტების ყოველდღიურ რუტინულ საქმიანობას. რეალურად კი, სწორედ ჟურნალისტების მიერ ყოველდღიურად მიღებული გადაწყვეტილებები, თუ რა და როგორ გააშუქონ, საბოლოო ჯამში, გავლენას ახდენს ზოგადად მედიის მუშაობასა და მის გავლენაზე საზოგადოებაში. ეს, რა თქმა უნდა, არ გამორიცხავს სარედაქციო პოლიტიკისა და ზოგადად მედიის სისტემების მნიშვნელობას. პირიქით, შეიძლება ითქვას, რომ მედიასისტემები, სარედაქციო პოლიტიკა და ცალკეული ჟურნალისტური პრაქტიკა ერთიანობაში ქმნის მედიებს ისეთებად, როგორებიც არიან.

ამიტომაც, ჟურნალისტიკას ხშირად ისტორიის პირველ ვერსიასაც უწოდებენ. რა თქმა უნდა, სხვა ფაქტორები, როგორიცაა მედიასაშუალებების სარედაქციო პოლიტიკა, ზოგადად ქვეყანაში არსებული მედიასისტემები და მედიის ეკონომიკური მდგრადობა უკიდურესად მნიშვნელოვანი ფაქტორებია საზოგადოებაზე მედიის გავლენების გასააზრებლად. თუმცა, სწორედ ცალკეული ჟურნალისტების ყოველდღიური რუტინა განსაზღვრავს დიდწილად, თუ რა განწყობები იარსებებს ქვეყანაში საზოგადოებრივი ჯგუფებისადმი, რა ღირებულებების გამტარი იქნებიან მედიასაშუალებები და როგორ აისახება ეს განწყობები და ღირებულებები ამ ჯგუფების კეთილდღეობაზე. საჯარო სივრცის მასობრივი გაციფრულებისა და სოციალური მედიის გავლენის ზრდასთან ერთად კი, კიდევ უფრო მნიშვნელოვანი ხდება ცალკეული ჟურნალისტების მიერ ეთიკური და საზოგადოების ჰარმონიული თანაარსებობისაკენ მიმართული საქმიანობა. შესაბამისად, წინამდებარე სახელმძღვანელო მნიშვნელოვანი სოციალური პრობლემების ინდივიდუალიზაციისა და ინდივიდუალურ პასუხისმგებლობებზე აქცენტირების წინააღმდეგია იდეურად, თუმცა, ამავე დროს, იმ დადებით ცვლილებებზეც მიუთითებს, რომელთა მოტანაც ეთიკური თვალსაზრისით მაღალი სტანდარტის მედიაპრაქტიკას შეუძლია.

ეთნიკურ და რელიგიურ უმცირესობასა და მედიას შორის ურთიერთმიმართება არ უნდა განვიხილოთ უნივერსალურ გამოცდილებად, რომელიც ყველა საზოგადოებისთვის ერთნაირია. პრობლემები, რომელთა წინაშეც ეთნიკური და რელიგიური უმცირესობების წარმომადგენლები აღმოჩნდებიან ხოლმე მედიის დამსახურებით თუ მედიის გამოყენებით, შესაძლოა, გარკვეულწილად თანხვედრაში იყოს, სხვადასხვა ქვეყნის შემთხვევას თუ განვიხილავთ. მაგალითად, ამ ჯგუფების რეკონსტრუქცია მედიაში ისეთი დიქოტომიების შუქზე, როგორიცაა „ჩვენ“ და „ისინი“, „ადგილობრივი“ და „ჩამოსული“, „შინაური“ და „უცხო“, „მეგობარი“ და „მტერი“ - საყოველთაოდ გავრცელებული პრაქტიკაა. ეს კი გამომდინარეობს

ადამიანების ბუნებრივი მიდრეკილებიდან, იოლად გამონახონ საერთო ენა ადამიანებთან, რომლებთანაც უფრო იოლად ახერხებენ საკუთარი თავის იდენტიფიცირებას. მიუხედავად ამისა, სხვადასხვა საზოგადოებაში ეთნიკური და რელიგიური უმცირესობების მედიასთან ურთიერთობის სხვადასხვა ასპექტი განსხვავებული სიმწვავით დგას. მაგალითად, თუკი ამერიკულ მედიაში ამ თემაზე დებატები უფრო ხშირად რასობრივ კონტექტში განიხილება, ევროპის რიგ ქვეყნებში (მაგ., საფრანგეთი, შვედეთი, დანია და ა.შ.) უფრო მეტად ახლო აღმოსავლეთის, აფრიკისა და აზიის ქვეყნებიდან ემიგრაციის კონტექსტი იძენს ხოლმე მეტ სიმწვავეს. შესაბამისად, წარმოუდგენელია ამა თუ იმ ქვეყანაში არსებული გამოცდილებების უაპელაციოდ ქართულ რეალობაში გადმოტანა.

საქართველოში, სადაც ისტორიულად არაერთი ეთნიკური თუ რელიგიური ჯგუფი ცხოვრობს, ამ ჯგუფების ჰარმონიული თანაარსებობა დომინანტურ ეთნიკურ და რელიგიურ ჯგუფებთან, განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია. შესაბამისად, ასევე დიდი მნიშვნელობა აქვს, თუ რა როლს შეასრულებენ მედიის წარმომადგენლები ამ ჰარმონიული საჯარო სივრცის ჩამოყალიბებაში. სწორედ აქედან გამომდინარე, საჭიროდ მივიჩნევთ ჟურნალისტებისათვის დამხმარე სახელმძღვანელოს შექმნას, რომელიც, ერთი მხრივ, დამწყებ თუ პრაქტიკოს ჟურნალისტებს დაეხმარება საკუთარ საქმიანობაზე რეფლექსიაში და, მეორე მხრივ, თავს მოუყრის იმ ორიენტირებს, რომლისკენაც უნდა ისწრაფოდეს ეთიკური და მაღალი პასუხისმგებლობის მქონე ჟურნალისტიკა.

ზოგადად, ეთნიკურ და რელიგიურ უმცირესობებს მიკუთვნებული ჯგუფებისა და მედიის ურთიერთმიმართებაში სამი ასპექტი შეიძლება გამოიყოს:

- ვინ აშუქებს ეთნიკურ და რელიგიურ უმცირესობებთან დაკავშირებულ თემებს?
- რას აშუქებს მედია ეთნიკური და რელიგიური უმცირესობების შესახებ?
- როგორ აშუქებს მედია ეთნიკურ და რელიგიურ უმცირესობებთან დაკავშირებულ საკითხებს?

ვინ საუბრობს ეთნიკური და რელიგიური უმცირესობების საკითხებზე მასმედიაში, აქვთ თუ არა წვდომა ამ ჯგუფებს მედიაზე, მონაწილეობენ თუ არა ამ ჯგუფების წევრები მათ შესახებ მედიაპროდუქტების მომზადებაში, ხდება თუ არა მათი მედიარეპრეზენტაცია ეკრანებსა და პრესის ფურცლებზე და დომინანტ ჯგუფს მიკუთვნებული ადამიანები ხომ არ მიიწერენ ცოდნას უმცირესობების პრობლემებზე - სწორედ ამას შეეხება ზემოთ გამოყოფილი ასპექტებიდან პირველი, რომელთან

დაკავშირებითაც საერთაშორისო მედიის პრაქტიკა მიმოხილული აქვს სალომე აფხაზიშვილის, სოციალური სამართლიანობის ცენტრის მიერ გამოცემულ პუბლიკაციაში, „სისტემური მედიამრავალფეროვნება“.

წინამდებარე პუბლიკაციის მიზანია, რომ ამ სამი ასპექტიდან ბოლო ორს შეეხოს და თავი მოუყაროს საბაზო ინფორმაციას, რომელიც ჟურნალისტებს პროფესიული საქმიანობისას ეთნიკურ და რელიგიურ უმცირესობებთან დაკავშირებულ საკითხებში იოლად გარკვევაში დაეხმარება. სახელმძღვანელო პრაქტიკული ხასიათისაა და აქცენტს აკეთებს კონკრეტული თემების ანალიზზე, არსებული მედიაპრაქტიკის გათვალისწინებით, თუმცა ნებისმიერი პრაქტიკის ფუნდამენტი თეორიული ცოდნაა, რის გამოც შემდეგ ქვეთავში მოკლე თეორიული ინფორმაციაც იქნება გადმოცემული. ამ თეორიულ მიმოხილვას კი მოჰყვება იმ განსაკუთრებით პრობლემური საკითხების განხილვა, რომლებიც ქართულ მედიაში გვხვდება.

ურთიერთმიმართებები ეთნიკურ და რელიგიურ ჯგუფებსა და მედიას შორის

„მასობრივი ინფორმაციის საშუალებები სრულად გვშთანთქავენ. ისინი იმდენად ღრმად აღწევენ ჩვენში თავიანთი ინდივიდუალური, პოლიტიკური, ეკონომიკური, ესთეტიკური, ფსიქოლოგიური, მორალური, ეთიკური და სოციალური ზეგავლენის თვალსაზრისით, რომ აღარაფერი რჩება ჩვენში ხელუხლებელი, შეუცვლელი. მედიუმი თავად არის მესიჯი. სოციალური და კულტურული ცვლილების ყოველგვარი გააზრება შეუძლებელია მასობრივი ინფორმაციის გავრცელების საშუალებების, როგორც გარემოს შესწავლის გარეშე“, - კომუნიკაციის კვლევების ერთ-ერთი პირველწყაროს, ამერიკელი მეცნიერის, მარშალ მაკლუენის (2003) ეს სიტყვები მანტრად არის ქცეული, როდესაც საუბრობენ ხოლმე საზოგადოებაზე მედიის ზეგავლენაზე. მიუხედავად იმისა, რომ წლებთან ერთად *მედიის პირდაპირი ეფექტის* თეორიას, რომელსაც მაკლუენი ავითარებდა, მოგვიანებით ბევრი კრიტიკოსი გამოუჩნდა, კრიტიკის მთავარი დამსახურება ამ თეორიის დანაწევრება და სიღრმისეული შესწავლა უფროა, ვიდრე მისი სრული უგულებელყოფა.

მასმედიის, განსაკუთრებით კი, ინსტიტუციონალიზებული მედიის გავლენა ადამიანთა ყოველდღიურ ცხოვრებასა და საზოგადოების კეთილდღეობაზე, არაერთგზის ნაკვლევი და დოკუმენტირებულია. მედიის, როგორც საზოგადოებრივი დისკურსის შემქმნელი და გამტარი ინსტიტუციის, ძალაუფლებას ყველაზე უკეთ

ორპირიანი მახვილის მეტაფორა აღწერს. მედიას, ერთი მხრივ, შეუძლია ხელი შეუწყოს საზოგადოების ჰარმონიულ არსებობას და ინსტიტუციების გამართულ ფუნქციონირებას, მხარი დაუჭიროს დემოკრატიული პროცესების გაძლიერებას და მოქალაქეთა კეთილდღეობის გარანტიების შექმნას. მეორე მხრივ კი, მას აქვს პოტენციალი, რომ ამ ყოველივეს საპირისპირო პროცესები გამოიწვიოს. შესაბამისად, მედია, როგორც ინფორმაციის მოპოვებისა და გავრცელების წყარო, არა მხოლოდ ასახავს საზოგადოებაში მიმდინარე მოვლენებს, არამედ ხშირად თავად ქმნის ამ მოვლენებს და უშუალოდ არის პასუხისმგებელი მათ განვითარებაზე.

ამ თემაზე საუბრისას განსაკუთრებით საინტერესოა საზოგადოებრივი წყობის ცნება, რომელთან მიმართებითაც მედიამ, შესაძლოა, ორმაგი ფუნქცია შეასრულოს - „ცენტრისკენული“ და „ცენტრიდანული“ (McQuail & Deuze, 2020). ცენტრისკენული ფუნქციის შესრულების შემთხვევაში მედია საზოგადოების ცალკეული წევრებისა თუ ჯგუფების ინტეგრაციასა და კონტროლს უწყობს ხელს, ხოლო ცენტრიდანული ფუნქციის შემთხვევაში იგი ახალისებს საზოგადოებრივ დაპირისპირებასა და დაქსაქსულობას. მედიის ეს ფუნქციები, შესაძლოა, დავინახოთ ოპტიმისტური ან პესიმისტური პერსპექტივიდან, ძალაუფლების რეჟიმის, თუ დამკვირვებლის იდეოლოგიური პოზიციიდან გამომდინარე.

ოპტიმისტური ხედვა



(წყარო McQuail & Deuze, 2020)

მაკქუილის ამ თეორიაზე დაყრდნობით, ევროპის საბჭოს ეგიდით მომზადებული ანგარიშის თანახმად, „მედია, შესაძლოა, მოვიაზროთ დადებითი გავლენის მქონედ, დაქსაქსული ინდივიდების გამაერთიანებლად, რომელიც ახალჩამოსულებს ინტეგრაციაში ეხმარება, ქმნის საერთო ღირებულებებს, იდეებსა და ინფორმაციას და ხელს უწყობს იდენტობათა ჩამოყალიბებას. ნეგატიური გაგებით კი - როგორც სოციალური დაქსაქსულობის მაპროვოცირებელი, ინდივიდუალისტური ან ანომიური ქცევის წამახალისებელი, რომელიც სოციალური კონტროლის მექანიზმებს არღვევს და ასუსტებს ტრადიციული ღირებულებების გავლენას“ (Lewis, 2008, p.9).

სწორედ ამ მიდგომით შეგვიძლია ვიხელმძღვანელოთ, როდესაც ვსაუბრობთ მედიის გავლენაზე კონკრეტულ ეთნიკურ თუ რელიგიურ ჯგუფებზე. ერთი მხრივ, მედიას შეუძლია უზრუნველყოს მათი ჰარმონიული თანაცხოვრება დომინანტურ თუ უმცირესობას მიკუთვნებულ სხვა ჯგუფებთან, ხელი შეუწყოს მათ ინტეგრაციას და საზოგადოებრივი სიკეთეებით ერთობლივად სარგებლის მიღებას. მეორე მხრივ კი, მედიამ, შესაძლოა, გამოიწვიოს ამ ჯგუფების გარიყვა საზოგადოებრივი პროცესებიდან, წაახალისოს მათი სისტემური დისკრიმინაცია და მკვეთრად უარყოფითი გავლენა მოახდინოს ცალკეული ადამიანების ცხოვრების ხარისხსა და კეთილდღეობაზე.

მედიის გავლენებზე საუბრისას, განსაკუთრებით უნდა გამოვყოთ საზოგადოებრივი მაუწყებლის, ანუ ისეთი მედიასაშუალებების მუშაობა, რომელთა არსებობასა და განვითარებაშიც ქვეყნის მოსახლეობას კოლექტიური წვლილი შეაქვს. საზოგადოებრივი მაუწყებლის იდეა, რომელიც ეფუძნება ოთხ ძირითად იდეას - *უნივერსალურობას, მრავალფეროვნებას, დამოუკიდებლობასა და განსაკუთრებულობას* - მოიცავს განსაკუთრებულ პასუხისმგებლობას საზოგადოების ყველა ჯგუფის მიმართ (Price & Raboy, 2011).[1] როგორც სხვადასხვა მკვლევარი აღნიშნავს, მეინსტრიმული მედიის, განსაკუთრებით კი, საზოგადოებრივი მაუწყებლების როლი, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კულტურათა შორის დიალოგის ხელშეწყობასა და განვითარებაში. ევროპის საბჭოს განმარტებით, კულტურათა შორის დიალოგი შეგვიძლია გავიგოთ როგორც „ღია და პატივისცემით განმსჭვალული შეხედულებათა გაცვლის პროცესი სხვადასხვა კულტურას

[1] საზოგადოებრივი მაუწყებლისა და ეთნიკური უმცირესობების საჭიროებებთან დაკავშირებით ვრცლად შეგიძლიათ გაეცნოთ „სოციალური სამართლიანობის ცენტრის“ მიერ 2020 წელს გამოქვეყნებულ კვლევას, „ეთნიკური უმცირესობების საჭიროებები, საზოგადოებრივი მაუწყებელი და პანდემია“. ხელმისაწვდომია ბმულზე - https://bit.ly/40r7K0Z

მიკუთვნებულ ინდივიდებსა და ჯგუფებს შორის, რომელიც ხელს უწყობს ერთმანეთის გლობალური აღქმების უკეთ გააზრებას“. გარდა ამისა, საზოგადოებრივი მაუწყებლის უშუალო მოვალეობაა (მაგ., მაუწყებლის შესახებ კანონის მე-16 მუხლით), რომ თავის „პროგრამებში ასახოს საზოგადოებაში არსებული ეთნიკური, კულტურული, ენობრივი, რელიგიური, ასაკობრივი და გენდერული მრავალფეროვნება“[2] და უზრუნველყოს უმცირესობების ენებზე საინფორმაციო მასალების მომზადება და გავრცელება.[3]

აქვე, ამავე კანონის 55-ე მუხლის თანახმად, ტელემაუწყებლობებისათვის „აკრძალულია ისეთი პროგრამის ან რეკლამის გავრცელება, რომელიც შეიცავს პირის ან პირთა ჯგუფის მიმართ შეზღუდული შესაძლებლობის, ეთნიკური, სოციალური წარმომავლობის, გენდერის, სქესის, გენდერული მიკუთვნების, ეროვნების, რასის, რელიგიის ან რწმენის, სექსუალური ორიენტაციის, კანის ფერის, გენეტიკური მახასიათებლების, ენის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულების, ეროვნული უმცირესობის წევრობის, ქონების, დაბადების ადგილის ან ასაკის ნიშნის მიხედვით ძალადობის ან სიძულვილის წაქეზებას, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეს აუცილებელია პროგრამის შინაარსიდან გამომდინარე“.[4]

როგორც ზემოთ აღინიშნა, მედიისა და უმცირესობას მიკუთვნებულ ჯგუფებს შორის ურთიერთმიმართების განხილვისას მნიშვნელოვანია ადგილობრივი კონტექსტის გათვალისწინება. ამგვარი მიდგომა თავიდან აგვარიდებს სხვადასხვა საზოგადოებაზე ცალკეული გეოპოლიტიკური რეალობის უაპელაციოდ გავრცელებას. დასავლურ, კერძოდ კი, ევროპულ და ჩრდილოეთ ამერიკულ რეალობაში ეთნიკურ უმცირესობებსა და მედიას შორის ურთიერთობას ხშირად აღწერენ ხოლმე „განგრძობითობის, კონფლიქტისა და ცვლილების“ ცნებების მეშვეობით (Cottle, 2000). ამით მიუთითებენ, რომ მედია როგორც მრავალი ინდივიდუალური თუ ორგანიზაციული აქტორისაგან შემდგარი ინსტიტუტი, დინამიკური სოციალური მოვლენაა, რომელიც გარემოფაქტორების გავლენის შედეგად იცვლება და თავადაც ახდენს გავლენას გარემოს ჩამოყალიბებაზე. მაგალითად, ისეთი ფაქტორები,

---

[2] საქართველოს კანონი მაუწყებლობის შესახებ, მუხლი 16. https://matsne.gov.ge/ka/document/view/32866?publication=66

[3] საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის უმცირესობების ინფორმაციული პოლიტიკის შესახებ მეტი დეტალისათვის შეგიძლიათ გაეცნოთ „სოციალური სამართლიანობის ცენტრის“ მიერ მომზადებულ დოკუმენტს, „სისტემური მედიამრავალფეროვნება საერთაშორისო მედიის პრაქტიკის მიმოხილვა“ (2022). ხელმისაწვდომია ბმულზე https://bit.ly/3KgtcjH

[4] საქართველოს კანონი მაუწყებლობის შესახებ, მუხლი 55 https://matsne.gov.ge/ka/document/view/32866?publication=66

როგორიცაა მედიაბაზარი, კორპორატიული გარემო და ტექნოლოგიები, მნიშვნელოვნად გარდაქმნის მედიაგარემოს, რომელშიც საზოგადოებრივი დისკურსი იწარმოება (იქვე). თუმცა, თავისთავად ცხადია, რომ ამ ფაქტორების გარდა მედიის დამოკიდებულებას რელიგიურ და ეთნიკურ უმცირესობას მიკუთვნებული ჯგუფებისადმი ასევე განსაზღვრავს ქვეყნის ისტორიული გამოცდილება და პოლიტიკური რეალობა, სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორები, საკანონმდებლო კონტექსტი და ინსტიტუციური ძალაუფლებების გადანაწილებისა და აღსრულების, ქვეყანაში დამკვიდრებული პრაქტიკა.

ეს ფაქტორები სხვადასხვა საზოგადოებაში სხვადასხვა სიმწვავითა და სიმძიმით ახდენს გავლენას მედიის მუშაობაზე. მაგალითად, ქართულ რეალობაში, განსაკუთრებით ყურადსაღებია ისტორიული ფაქტორის გათვალისწინება, იქიდან გამომდინარე, რომ მულტიკუტურული წარსული და გარემო საქართველოს ისტორიული და ამჟამინდელი რეალობის განუყოფელი ნაწილია. გარდა ამისა, გასათვალისწინებელია რთული გეოპოლიტიკური რეალობა, რომელშიც საქართველოსა და მთლიანად კავკასიის რეგიონში მცხოვრები სხვადასხვა რელიგიური თუ ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენლები ცხოვრობენ.

ზემოთ ჩამოთვლილი ზოგადი ფაქტორების პარალელურად, მედიასა და უმცირესობას მიკუთვნებულ ჯგუფებს შორის ურთიერთმიმართებას ასევე მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს მედიაორგანიზაციების სარედაქციო პოლიტიკა და ცალკეული ჟურნალისტების ერთგულება პროფესიული ეთიკისა და სტანდარტებისადმი. ჟურნალისტური საქმიანობა გულისხმობს უამრავი სარედაქციო თუ პროფესიული არჩევანის გაკეთებას ყოველდღიურად, თითოეული თემის გაშუქებისას. შესაბამისად, არჩევანის გაკეთებისას პასუხისმგებლობაც თავად მედიაორგანიზაციასა და მის წარმომადგენლებზე გადადის. არჩევანსა და პასუხისმგებლობაზე საუბრისას თავს ვერ ავარიდებთ ისეთ მნიშვნელოვან ცნებას, როგორიცაა გაშუქების კუთხეები (frames[5]). ე.წ. „ფრეიმინგის“ თეორიას სათავე დაუდო მე-20 საუკუნის ერთ-ერთმა ყველაზე გავლენიანმა სოციოლოგმა ირვინგ გოფმანმა, რომელმაც შეიმუშავა „ჩარჩოს ანალიზის“ (frame analysis) ცნება, რათა გარესამყაროს ინტერპრეტაციისა და გაგებისათვის ადამიანების მიერ ერთგვარი სოციალური სიგნალების გამოყენების მექანიზმები, ან როგორც თავად უწოდებდა,

[5] სიტყვა frame-ის პირდაპირი თარგმანი „ჩარჩო“ იქნებოდა, თუმცა მედიის კონტექსტში გაშუქების კუთხე უკეთ ასახავს ამ ცნების შინაარსს. შესაბამისად, როდესაც ტექსტში საუბარია მედიის კონტექსტში ე.წ. ჩარჩოებზე, ავტორი იყენებს გაშუქების კუთხეს. ზოგადად თეორიაზე საუბრისას კი, სოციოლოგიური ცნების სიზუსტის შესანარჩუნებლად, სიტყვა „ჩარჩოს“ დავტოვებთ.

„ინტერპრეტაციის სქემები“ აღეწერა. გოფმანის მიხედვით, ე.წ. ფრეიმინგი მჭიდროდ არის დაკავშირებული დღის წესრიგის თეორიასთან (agenda setting theory), რომელიც შეისწავლის მედიის მიერ კონკრეტული თემების წინწამოწევისა და პრიორიტეტიზაციის მექანიზმებს, იმისათვის, რათა საზოგადოებამ ეს თემები, სხვა თემებთან შედარებით, უფრო მნიშვნელოვნად აღიქვას (Goffman, 2010).

ფრეიმინგის თეორიის მედიარეალობაზე მორგებაში, 1980-90-იან წლებში, განსაკუთრებული როლი შეასრულეს ჯორჯ ლაკოფმა და რობერტ ენტმანმა. ლაკოფი ჩარჩოებს უწოდებდა „მენტალურ სტრუქტურებს, რომელიც განსაზღვრავს, თუ როგორ აღვიქვამთ სამყაროს“ (Lakoff, 2004). თუმცა მედიის ჭრილში იგი გულისხმობს, თუ რა კუთხით არის ინფორმაცია წარმოდგენილი საიმისოდ, რომ გავლენა მოახდინოს ამ ინფორმაციის საზოგადოებაზე ზემოქმედებაზე. გაშუქების კუთხე, შესაძლოა, გულისხმობდეს ცალკეული ამბის, თემის თუ მოვლენის ცალკეული ასპექტის შერჩევას, იგნორირებას, წინ წამოწევას, გამოტოვებას, მნიშვნელობის დაკნინებას და ა.შ. ენის, მეტაფორების, აუდიო-ვიზუალური საშუალებების გამოყენებით, კომუნიკატორისთვის სასურველი მნიშვნელობების აქცენტირებისთვის. როგორც ენტმანი აღწერდა, „კომუნიკაციისთვის გამიზნული ტექსტისა თუ მესიჯის კუთხის შერჩევა ნიშნავს „აღქმული რეალობის“ ცალკეული მახასიათებლების აქცენტირებას და მათ ისეთნაირად წინ წამოწევას, რომელიც უპირატესობას ანიჭებს პრობლემის სპეციფიკურ განსაზღვრებას, მიზეზშედეგობრივ ინტერპრეტაციას, მორალურ შეფასებას ან/და გამოსავლის შეთავაზებას“ (Entman, 1993, p. 51). შესაბამისად, მედიაში ეს პროცესი გადაითარგმნება ცალკეულ გადაწყვეტილებებად, რომლებიც ჟურნალისტმა, ფოტოგრაფმა, ოპერატორმა ან მენეჯმენტის ზედა რგოლმა, მათ შორის, აღმასრულებელმა და მთავარმა რედაქტორებმა უნდა მიიღონ. ასეთი გადაწყვეტილებები, როგორც წესი, ეხება იმას, თუ რას, როდის, როგორ და რატომ ვაშუქებთ. ეს კითხვა ზოგჯერ არც საჭიროებს ცხად და მიზანმიმართულ პასუხს, რადგან ირგვლივ არსებული რეალობა გვკარნახობს, როდის, რას და რატომ ვაშუქებთ (მაგალითად, მიმდინარე აქტუალური ამბები და ე.ი. Breaking news-ის, სხვა მედიასაშუალებებთან კონკურენციის, მკითხველისა თუ მაყურებლის მოთხოვნის, პროფესიული ცნობისმოყვარეობის, ან ინტუიციის გამო და ა.შ.). თუმცა არსებობს ისეთი სიტუაციები, სადაც მედიის პროფესიონალებს გაცილებით მეტი ძალისხმევა მართებთ თემებისა და თემების გაშუქების კუთხეების შერჩევისას.

ეთნიკურ და რელიგიურ ჯგუფებთან დაკავშირებით ერთ-ერთი უმთავრესი ასეთი გადაწყვეტილება, რომლის მიღებაც უწევთ მედიაპროფესიონალებს, არის, თუ როდის და როგორ კონტექსტში ხვდებიან მათ სატელევიზიო ეთერებსა თუ გამოცემების გვერდებზე ეს ჯგუფები. გაშუქების დროსთან დაკავშირებული საკითხი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია და საბოლოო ჯამში იგი ითარგმნება ჯგუფების პროაქტიულ და რეაქტიულ გაშუქებაში. რეაქტიულ გაშუქებაში ვგულისხმობთ შემთხვევებს, როდესაც ჟურნალისტები აქტიურად კი არ ეძებენ ჯგუფებთან დაკავშირებულ საინტერესო და მნიშვნელოვან ამბებს, არამედ მხოლოდ და მხოლოდ პოსტფაქტუმ რეაგირებენ ამ ჯგუფებთან დაკავშირებულ ამბებზე, კონკრეტულ თემებში მიმდინარე თუ განმეორებად ამბებზე, როგორიცაა, მაგალითად, დღესასწაულები. ამის საპირისპიროდ, პროაქტიული გაშუქება გულისხმობს ჟურნალისტთა მხრიდან უფრო მეტ ძალისხმევას, თემებში გათვითცნობიერებასა და ამბების მოძიებას, რათა ეთნიკურ და რელიგიურ უმცირესობას მიკუთვნებული ჯგუფების ინტერესები უკეთ იყოს წარმოდგენილი მედიაში, მათთან დაკავშირებული თემები უფრო სიღრმისეულად გაშუქდეს და მათმა პრობლემებმა საჯარო დისკურსებში სათანადო ადგილი დაიკავონ.

თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პროაქტიული გაშუქების მნიშვნელობაზე საუბარი სულაც არ გულისხმობს ე.წ. რეაქტიული გაშუქების რელევანტურობის დაკნინებას. მიმდინარე და განმეორებად ამბებზე რეაგირება ჟურნალისტიკის განუყოფელი ნაწილია, თუმცა, თუკი მედია მხოლოდ და მხოლოდ ამგვარ პრაქტიკას მისდევს, იქმნება უმცირესობებთან დაკავშირებული თემების ზედაპირული, ხშირად ნეგატიურ კონტექსტში გაშუქებისა და ამ ჯგუფების ეგზოტიზაციის რისკები. ქართულ რეალობაში ასეთ რისკებს ქმნის გარემოებათა ერთობლიობა, როგორიცაა მედიის რადიკალური პოლიტიკური პოლარიზაცია, შეზღუდული მედიარესურსები და მედიაბაზრის თავისებურებები. ერთი მხრივ, ტელემედიაში პარტიული მიკერძოებების გამო, ხშირად, ერთი შეხედვით ნეიტრალური თემებიც კი რადიკალურად პოლარიზებულ პრიზმაში ხვდება, შესაბამისად, ადვილია ეთნიკურ და რელიგიურ ჯგუფებთან დაკავშირებული საკითხების პარტიულ პოლიტიკურ ჭრილში გადატანა. ამ დროს კი თავად ჯგუფების ინტერესები მედიადისკურსში უკანა პლანზე გადაიწევს ხოლმე. მეორე მხრივ, თანამედროვე საბაზრო ეკონომიკაზე მორგებული მედიაბიზნესი, მაყურებლებისა თუ მკითხველების მაქსიმალურად მოსაზიდად, ხშირად ცდილობს, რომ თავისი პლატფორმა ისეთ თემებს დაუთმოს, რომლებიც განსაკუთრებულ ემოციებს გამოიწვევს მედიის მომხმარებლებში.

ამასთანავე, ზოგადად მედიის მხრიდან ნეგატიური თემებისათვის განსაკუთრებული ყურადღების დათმობის ტენდენცია კარგად არის შესწავლილი და ემპირიულად დადასტურებული. 2022 წელს გამოქვეყნდა კვლევა, რომლის დროსაც 2000–2019 წლებში 47 მედიასაშუალებაში გამოქვეყნებული 23 მილიონზე მეტი ახალი ამბის სათაური გააანალიზეს მათში გადმოცემული სენტიმენტებისა და ემოციების მიხედვით (Rozado et al., 2022). როგორც სათაურების ქრონოლოგიურმა კვლევამ აჩვენა, ემოციების თვალსაზრისით, სტატიების სათაურები, რომლებიც შეიცავდა ბრაზს, შიშს, ზიზღსა და წუხილს, გაცილებით აღემატებოდა ნეიტრალური სათაურების მქონე სტატიების რაოდენობას, რომელიც 2000-2019 წლებში სულ უფრო და უფრო იკლებდა (იქვე). თავისთავად ცხადია, რომ ნეგატიურობისაკენ ამგვარი მიდრეკილების პირობებში, ეთნიკურ და რელიგიურ უმცირესობებთან დაკავშირებული საკითხებიც ხშირად ნეგატიურ მოვლენებთან კავშირში უფრო ხვდება მედიის ყურადღების ცენტრში, იქნება ეს კრიმინალი, ტერორიზმი, ექსტრემიზმი, დისკრიმინაცია, კონფლიქტები თუ პოლიტიკური დაძაბულობა. მედიის მიერ სხვადასხვა ჯგუფთან დაკავშირებული ნეგატიური ამბების გაშუქების კრიტიკის საპასუხოდ პრაქტიკოს ჟურნალისტებს ხშირად უჩნდებათ ხოლმე კითხვა - „აბა, არ უნდა გავაშუქოთ ამბავი?“. ამაზე პასუხი მარტივია, რა თქმა უნდა, ყველა ამბავი, რომელიც საზოგადოებისათვის საინტერესოა, ჟურნალისტებმა უნდა გააშუქონ. თუმცა, გარდა ამბების გაშუქებისა, მედია საზოგადოების აზრის ფორმირებაზეც არის პასუხისმგებელი. შესაბამისად, როდესაც კონკრეტულ ჯგუფებთან დაკავშირებით მედიაში მხოლოდ და მხოლოდ ნეგატიური ამბები ხვდება, საზოგადოებაშიც შესაბამისი დამოკიდებულებები იჩენს თავს. აქედან გამომდინარე, მედიის საქმიანობა მხოლოდ ისეთ ამბებზე რეაგირება არაა, რომელიც საზოგადოებაში შიშს, ბრაზს, სიძულვილსა და წუხილს გამოიწვევს. ჟურნალისტთა შეკითხვაზე პასუხად კი უნდა ითქვას, რომ მედიამ გაცილებით მეტი ძალისხმევა უნდა გაიღოს ამა თუ იმ ჯგუფთან დაკავშირებული ნეიტრალური თუ პოზიტიური თემების მოსაძიებლად და გასაშუქებლად, ნეგატიური სტერეოტიპების გაჩენას კი ხელი შეუშალოს.

სტერეოტიპების ჩამოყალიბებას ხშირად ხელს უწყობს ამბების ფრაგმენტირებული, კონტექსტიდან მოწყვეტით გაშუქება. ასეთი პრაქტიკა კი ხშირად სწორედ მედიის რეაქციულობიდან გამომდინარეობს, რაც, როგორც აღვნიშნეთ, ხშირად განპირობებულია მედიასაშუალებებში არსებული არასაკმარისი რესურსებით, მედიასაშუალებების მიერ გამიზნულად არჩეული დამაზიანებელი იდეოლოგიური დღის წესრიგით, არასათანადოდ დაგეგმილი სარედაქციო პოლიტიკით, ანდა თემაში

ჟურნალისტების არასაკმარისი გათვითცნობიერებულობით. ამბების მაყურებლამდე/მკითხველამდე ფრაგმენტული მიტანით თემასთან დაკავშირებით არასრული სურათი იქმნება, რაც ხელსაყრელი გარემოა სხვადასხვა ჯგუფთან დაკავშირებით ზედაპირული და სტერეოტიპული წარმოდგენების შესაქმნელად. მედიასაშუალებებისათვის რესურსების მობილიზების საკითხები წინამდებარე სახელმძღვანელოს მიზნებს სცდება. ხოლო მედიების მიერ გაკეთებული იდეოლოგიური არჩევანის შეცვლას კი გაცილებით მეტი და მასშტაბური საზოგადოებრივი ცვლილებები სჭირდება, ვიდრე ეს ამგვარი სახელმძღვანელოებით იქნებოდა შესაძლებელი. ამის საპირწონედ, ერთადერთი, რაც შეგვიძლია დავაზღვიოთ, არის დემოკრატიული პრინციპების პატივისცემით მომუშავე მედიებში სათანადო სარედაქციო პოლიტიკების შემუშავება და ჟურნალისტების ცნობიერებისა და მგრძნობელობის გაზრდა სხვადასხვა არაპრივილეგირებულ ჯგუფთან დაკავშირებით.

ილუსტრაციისთვის, ქართულ მედიაში, დროგამოშვებით ხვდება ხოლმე რეპორტაჟები, ამა თუ იმ დასახლებებთან დაკავშირებით, სადაც ეთნიკური ან რელიგიური ჯგუფები კომპაქტურად ცხოვრობენ და სადაც რაიმე ტიპის კრიმინალური, თუ საქართველოში მცხოვრები მოსახლეობის უმრავლესობისათვის კულტურულად არადამახასიათებელი შემთხვევები ხდება. ასეთი თემები, შესაძლოა, იყოს ნარკორეალიზაციასთან დაკავშირებული შემთხვევები, არასრულწლოვანთა იძულებითი შრომა, ადრეული ქორწინების შემთხვევები და ა.შ. მედიის მიერ ასეთი თემების ფრაგმენტული გაშუქებისას მაყურებელს არ მიეწოდება კონტექსტი სრულად და მოსახლეობის ფართო ფენებში ამ დასახლებებისა და მასში მცხოვრები ადამიანების შესახებ ზედაპირული, ხშირად დისკრიმინაციული წარმოდგენების კულტივირების საფრთხე იქმნება. ეს საფრთხე კი აბსტრაქტული სულაც არ არის. იგი ხშირად ითარგმნება ხოლმე კონკრეტული ადამიანების ცხოვრებისეულ სირთულეებში, კონკრეტული საზოგადოებრივი ჯგუფების გარიყვასა და მთლიანად საჯარო სივრცეში არაჯანსაღი პროცესების გაჩენაში.

მეტიც, ამგვარი სტერეოტიპიზაცია, როგორც წესი, ამა თუ იმ ჯგუფის საზოგადოებრივი ცხოვრებიდან გარიყვითა და მათი „სხვად“, „ეგზოტიკურად“, „უცხოდ“ ჩამოყალიბებით სრულდება, რაც წინააღმდეგობაში მოდის მედიის პასუხისმგებლობასთან, ხელი შეუწყოს საზოგადოების ერთიანობას, მის ჰარმონიულ ფუნქციონირებას და ქვეყნის კეთილდღეობისათვის ხელსაყრელი საჯარო დისკურსების გაჩენას. ამგვარ ექსკლუზიურ პრაქტიკასთან დაპირისპირება კი,

როგორც წესი, მედიას ორგვარი მიდგომით შეუძლია, „მიმდინარე მოვლენების გაშუქებისას, განსხვავებული ჯგუფების პერსპექტივის წარმოჩენითა“ და „ისეთი მასალების მომზადებით, რომლებიც საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფის რეპრეზენტაციას, მათ უკეთ გაცნობას და ქვეყნის განვითარებაში მათი წვლილის წარმოჩენას უწყობს ხელს“ (მინდიაშვილი & კინწურაშვილი, 2023, გვ. 45).

ეთნიკურ და რელიგიურ უმცირესობებთან დაკავშირებული ცალკეული თემების გაშუქების პრინციპები

ადამიანების ყოველდღიურობის, კერძოდ კი, საინფორმაციო ველების გაციფრულების პირობებში, ინფორმაციაზე წვდომა სულ უფრო გაიოლებულია. ინფორმაციის მომხმარებლები იქცნენ ინფორმაციის „პროსიუმერებად“[6], შესაბამისად, იმატა ინფორმაციის საერთო რაოდენობამაც, რომელთან გამკლავებაც ადამიანებს უწევთ ყოველდღიურად. ამის მიუხედავად, ინფორმაციული სიჭარბე დამატებით ართულებს ხელმისაწვდომი ინფორმაციის სათანადოდ გაცნობასა და გადამუშავებას. ერთი მხრივ, თავად ინფორმაციის სიჭარბეა გამოწვევა, წყაროთა დიდი არჩევანის გამო, მეორე მხრივ კი, ამ ინფორმაციის გადასამუშავებლად საჭირო დროის გამონახვა და პრაქტიკაში დანერგვა განსაკუთრებულად რთულია ხოლმე ჟურნალისტებისათვის, რომლებიც გამუდმებით განიცდიან დროის სიმწირით გამოწვეულ სტრესს. ამ მხრივ, გამონაკლისი არაა ინფორმაცია ეთნიკური და რელიგიური უმცირესობების მედიაში გაშუქებასთან დაკავშირებული სტანდარტებისა და ეთიკური ნორმების შესახებ. გარდა საერთაშორისო სახელმძღვანელოებისა[7], ქართულ საჯარო დისკურსშიც მრავლად მოიპოვება სხვადასხვა დროს შექმნილი სარეკომენდაციო დოკუმენტები, რომელთა პრაქტიკაში დანერგვაც მედიასაშუალებებისა და მათში დასაქმებული პროფესიონალების პასუხისმგებლობაა. მაგალითად, 2010 წელს მედიის განვითარების ფონდის მიერ გამოქვეყნებული ეთნიკური და რელიგიური უმცირესობების თემატიკის გაშუქების საბაზო პრინციპები, მრავალფეროვნების გაშუქების გზამკვლევი, ასევე საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის მიერ სხვადასხვა დროს გამოცემული ეთიკური გაშუქების პრაქტიკული სახელმძღვანელოები,

---

[6] Prosumer – (ინგ) - ტერმინი ორი სიტყვის produser-ისა და consumer-ის ანუ „მწარმოებლისა“ და „მომხმარებლის“ შერწყმის შედეგად წარმოიშვა და აღნიშნავს ტენდენციას, რომლის მიხედვითაც რიგითი ადამიანები არა მხოლოდ ინფორმაციის მიმღებები არიან, არამედ აქტიურად არიან ჩართულები მის შექმნასა და გავრცელებაშიც.

[7] ტერორიზმი და მედია - UNESCO, https://unesdoc.unesco.org/ark:/48223/pf0000373760

სიძულვილის ენასთან ბრძოლის სახელმძღვანელო წესები, ტერორიზმთან დაკავშირებული თემების გაშუქების წესები, საქართველოს სტრატეგიის და განვითარების ცენტრისა და ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის მიერ გამოცემული ძალადობრივი ექსტრემიზმის გაშუქების სახელმძღვანელო, ტოლერანტობის და მრავალფეროვნების ინსტიტუტის (TDI) მიერ გამოცემული გზამკვლევი ჟურნალისტიკის სტუდენტებისა და მედიისთვის, როგორ გავაშუქოთ მიგრაცია და მიგრანტები და ა.შ. სწორედ ამგვარ დოკუმენტებს, მედიასთან დაკავშირებულ საკანონმდებლო ჩარჩოსა და პრაქტიკაში არსებულ გამოცდილებებს ეყრდნობა წინამდებარე სახელმძღვნელოს ეს თავი, რომელშიც კონკრეტულად არის განხილული ეთნიკურ და რელიგიურ უმცირესობებთან დაკავშირებული ქართული მედიისთვის აქტუალური საკითხები, გაშუქების წესებთან და ეთიკურ ნორმებთან ერთად.

დიკსრიმინაციის შემთხვევათა გაშუქება

საზოგადოების მშვიდობიან და ჰარმონიულ თანაცხოვრებაში განსაკუთრებული ხელისშემშლელი ფაქტორია ინსტიტუციონალიზებული თუ ყოველდღიური დისკრიმინაცია და დისკრიმინაციის მრავალგვარი პრაქტიკები, რომელსაც, შესაძლოა, ჟურნალისტები პროფესიული საქმიანობისას გადააწყდნენ. ასეთ დროს გადამწყვეტია, რომ რეპორტიორი წინასწარ იყოს გათვითცნობიერებული დისკრიმინაციის თემების გაშუქებისათვის აუცილებელ უნარებში, რათა, ერთი მხრივ, ხელი არ შეუწყოს მსხვერპლების დისკრიმინაციას და, მეორე მხრივ, თავისი წვლილი შეიტანოს ჩაგრული ადამიანებისათვის შელახული უფლებების აღდგენისა და სამართლიანობის მოპოვების პროცესში.

პროფესიული პრინციპები, რომლებიც ჟურნალისტებმა უნდა გაითვალისწინონ ეთნიკური და რელიგიური ნიშნით დისკრიმინაციის შემთხვევების გაშუქებისას, დიდწილად ემთხვევა ზოგადად დისკრიმინაციის შემთხვევების გაშუქების პრინციპებს. თუმცა, დამატებით, გასათვალისწინებელია ისეთი გარემოებები, როგორიცაა გაშუქების დროს ეთნიკური და რელიგიური შუღლის გაღვივების რისკები და ამ რისკების ფიზიკურ საფრთხედ გარდაქმნის შესაძლებლობა. მაგალითად, მედიამ სათანადოდ უნდა მიუთითოს, თუკი ძალადობრივი და კრიმინალური ქმედების უკან ამა თუ იმ ნიშნით სიძულვილით მოტივირებული დანაშაული დგას. ასევე, განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს სიძულვილის ენის გამოყენების თავიდან არიდებას, როგორც თავად რეპორტიორების, ისე მათი

რესპონდენტების მიერ. შესაბამისად, მედია არ უნდა იქცეს სიძულვილით მოტივირებული შემთხვევების წამახალისებელ პლატფორმად. 2014 წელს, ქობულეთში რამდენიმე ადგილობრივმა მკვიდრმა მუსლიმურ მედრესესთან ღორი დაკლა და მისი თავი შენობის კარზე მიაჭედა, რაც მუსლიმებისათვის უდიდესი შეურაცხყოფაა. შემთხვევა ცალსახად შეიცავდა სიძულვილით მოტივირებულ ქმედებასა და დისკრიმინაციის ნიშნებს. ზოგიერთმა მედიამ კი, ამ ქმედებაში ჩართულ ადამიანებს ყოველგვარი შეფასებისა და სიფრთხილის გარეშე დაუთმო საკუთარი ეთერი, რითაც მუსლიმების მისამართით უარყოფითი განწყობის ჩამოყალიბებაში საკუთარი წვლილი შეიტანა.

„მედიას აქვს სოციალური პასუხისმგებლობა, არა მხოლოდ არ გაამძაფროს დისკრიმინაცია, არამედ საზოგადოებაში არსებული ირაციონალური შიშების და ზიზღის წინააღმდეგ საინფორმაციო ქმედებები განახორციელოს“, - აღნიშნავს სიძულვილის ენასთან ბრძოლის სახელმძღვანელო მედიისათვის. მედიის მიერ ობიექტურობისა და ნეიტრალურობის სტანდარტისაკენ სწრაფვა სულაც არ ნიშნავს იმას, რომ მედიის სარედაქციო პოლიტიკა ბრმა უნდა იყოს ადამიანის უფლებათა დარღვევისა და საზოგადოების კონკრეტული წარმომადგენლების ჩაგვრისადმი.

ამასთანავე, მედიამ უნდა გაითვალისწინოს ძალაუფლებრივი მიმართებები, რომელშიც მჩაგვრელი და ჩაგრული იმყოფებიან. მიუხედავად კლიშედ ქცეული მოწოდებისა მედიის მისამართით, რომ დაიცვას ბალანსი, ამბის ყველა მონაწილისათვის სივრცის დათმობით, ჟურნალისტებს და რედაქტორებს უნდა ახსოვდეთ, რომ იმთავითვე უთანასწორო მდგომარეობაში მყოფი ადამიანების მიმართ თანაბარი მოპყრობით, ისინი მხოლოდ და მხოლოდ რეკულტივირებას მოახდენენ ამ უთანასწორობისა. შესაბამისად, მოძალადისა და მსხვერპლის, დისკრიმინაციის ინიციატორისა და ობიექტის ერთ სიბრტყეზე დაყენებით, მედია რაიმე ტიპის ბალანსს კი არ იცავს, იგი ხელს უწყობს საზოგადოებრივი დისბალანსის შენარჩუნებას. გარდა ამისა, რეპორტიორებმა უნდა გაითვალისწინონ ისიც, რომ ძალადობის ავტორისათვის ტრიბუნის მიცემით, შესაძლოა, ხელი შეუწყონ კიდევ უფრო მეტი ძალადობის წახალისებას.

დემოკრატიულ საზოგადოებაში მედიის ერთ-ერთი მთავარი ფუნქცია სწორედ ჩაგრული ადამიანების მხარეს დგომა და ამ მდგომარეობიდან მათ გამოყვანაში ხელის შეწყობაა. ამისათვის საუკეთესო საშუალება კი ფაქტებზე დაფუძნებული და დაბალანსებული ჟურნალისტიკაა, რომელსაც საფუძვლად ცოდნა უდევს. ცოდნის

დაგროვება კი ჟურნალისტებს შეუძლიათ ადგილობრივ თემებთან მუდმივი კონტაქტით, ანტიდისკრიმინაციული კანონმდებლობის გაცნობითა და დისკრიმინაციის პოტენციური შემთხვევების მაღალი რისკების შემცველი სიტუაციების შესახებ ინფორმაციის მოძიებით.

მედიის მრავალფეროვნების ინსტიტუტის მიერ გამოცემული სახელმძღვანელოს თანახმად, დისკრიმინაციის შემთხვევების დროს მნიშვნელოვანია, რომ რეპორტიორმა:

- ხელი შეუწყოს დისკრიმინაციის შემთხვევების შესახებ ინფორმაციის გავრცელებას;
- გამოიყენოს ნეიტრალური ენა, რომლითაც იგი ფაქტებს გადმოსცემს სენსაციურობისა და ემოციური რეპორტინგის ნაცვლად;
- ყურადღება გაამახვილოს უშუალოდ დისკრიმინაციის მსხვერპლთა გამოცდილებებზე;
- მისცეს საკუთარი სათქმელის ფართო აუდიტორიისათვის მიწვდენის შესაძლებლობა მათ, ვისაც ამის საშუალება არ აქვთ;
- მოუსმინოს ამბის ყველა მხარეს.

ამასთანავე, მნიშვნელოვანია, რომ ეთნიკური და რელიგიური უმცირესობების წარმომადგენლები არ აღიქმებოდნენ მხოლოდ და მხოლოდ „ობიექტებად“ დისკრიმინაციის შემთხვევების გაშუქებისას. მედიას აქვს შესაძლებლობა, რომ სხვადასხვა უმცირესობას მიკუთვნებული ჯგუფები საზოგადოებრივ დისკურსებში „ობიექტების“ ნაცვლად „სუბიექტებად“ აქციოს და მისცეს მათ პლატფორმა საკუთარი ხმის გასაჟღერებლად. როგორც მედიის განვითარების ფონდის „უმცირესობათა საკითხების გაშუქების საბაზისო პრინციპებში“ ვკითხულობთ, ჟურნალისტებმა უნდა უზრუნველყონ, რომ: ეთნიკური/რელიგიური უმცირესობის შესახებ მასალის მომზადებისას, ინტერვიუ/კომენტარი აიღონ უმცირესობის წარმომადგენლებისგან და ასახონ მათი მოსაზრებები. ანუ აქციონ ისინი გამოქვეყნებული მასალის „სუბიექტებად“ და არა „ობიექტებად“.

კულტურა და ტრადიციები

ტრადიციებთან და კულტურასთან დაკავშირებული ამბები ერთ-ერთი წამყვანი თემაა, რომლის კონტექსტშიც, როგორც წესი, მედიის ყურადღების ცენტრში ექცევიან ხოლმე ამა თუ იმ ეთნიკური და რელიგიური ჯგუფის წარმომადგენლები. რამდენადაც დიდია დიაპაზონი ამბებისა, რომლებიც ამ თემებს უკავშირდება, იმდენად დიდია იმის ალბათობა, რომ მედიამ მიუხედავად კეთილი განზრახვისა, რელიგიური თუ ეთნიკური ჯგუფების ეგზოტიზაციას შეუწყოს ხელი. ამის რისკი განსაკუთრებით დიდია მაშინ, როდესაც ეს ჯგუფები მედიის დღის წესრიგში მხოლოდ მაშინ ხვდებიან, როდესაც საუბარია რომელიმე რელიგიურ დღესასწაულზე, კულტურულ ღონისძიებაზე და ა.შ. და არ ხდება მათი, როგორც სრულფასოვანი პოლიტიკური სუბიექტების, წარმოჩენა.

თუმცა ეს არ ნიშნავს იმას, რომ ჟურნალისტებმა თავი უნდა შეიკავონ ამგვარი დღესასწაულების, ღონისძიებების, თუ შემთხვევების გაშუქებისგან. პირიქით, ქვეყანაში მცხოვრები რელიგიური, ეთნიკური და კულტურული მრავალფეროვნების ჩვენება თითოეული მედიის პრიორიტეტი უნდა იყოს. პრობლემად ეს ტენდენცია მაშინ იქცევა, როდესაც ამ ჯგუფებს მიკუთვნებული ადამიანები მხოლოდ მაშინ ახსენდება მედიას, როდესაც ე.წ. „უსაფრთხო“ თემები აქტუალიზდება, რომლებიც არ გამოიწვევს სოციალურ თუ პოლიტიკურ მღელვარებას და ამ ადამიანებს ერთგვარად სამუზეუმო ექსპონანტებად წარმოაჩენს.

ეგზოტიზაციის თავიდან არიდების ერთადერთი სწორი გზა ეთნიკური და რელიგიური უმცირესობების წარმომადგენლების ზოგად პოლიტიკურ და სოციალურ ცხოვრებაში მაქსიმალური ჩართვა და ინტეგრაციაა, რაზეც თავისი წილი პასუხისმგებლობა აკისრია მედიას. მედია მუდმივად უნდა ინტერესდებოდეს ზოგად პოლიტიკურ თუ საზოგადოებრივ საკითხებზე ამ ჯგუფების მოსაზრებებით, მათ წინაშე არსებულ სოციალურ და ეკონომიკურ გამოწვევებზე, პრობლემებზე, რომელთა მოგვარებისთვისაც მთელი საზოგადოების ძალისხმევა და ჩართულობაა საჭირო.

რა თქმა უნდა, ეს არ უნდა მოხდეს ამ ჯგუფების განსაკუთრებული ისტორიული თუ კულტურული მახასიათებლების მიჩუმათებისა და უგულებელყოფის ხარჯზე. ეთნიკური, კულტურული და რელიგიური გამორჩეულობა ნებისმიერი ჯგუფის იდენტობის განუყოფელი ნაწილია და მედია არ უნდა შეეცადოს ამ გამორჩეულობის გაუფასურებასა და მათ დომინანტი ჯგუფის მახასიათებელ კუტურულ, რელიგიურ

თუ ეთნიკურ მახასიათებლებში აღრევას. პირიქით, მედიის ვალდებულებაა, რომ საზოგადოებაში არსებული მრავალფეროვნება ისე ასახოს, რომ ამან ხელი შეუწყოს, ერთი მხრივ, მრავალფეროვანი საზოგადოების პრინციპების დანერგვას და, მეორე მხრივ, თითოეულ რელიგიურ, ეთნიკურ თუ კულტურულ მემკვიდრეობაზე ზრუნვას და დანარჩენ საზოგადოებამდე მიტანას.

ამგვარი მიდგომის საკუთარ სარედაქციო პოლიტიკაში ინტეგრაციაზე განსაკუთრებით არის პასუხისმგებელი საზოგადოებრივი მაუწყებელი. საქართველოს მაუწყებლობის კოდექსის მესამე თავი, საგანგებოდ მიუთითებს, რომ საზოგადოებრივი მაუწყებლის ვალდებულებაა, „პროგრამებში ასახოს საზოგადოებაში არსებული ეთნიკური, კულტურული, ენობრივი, რელიგიური, ასაკობრივი და გენდერული მრავალფეროვნება“. ამასთანავე, როგორც სოციალური სამართლიანობის ცენტრის მიერ 2021 წელს გამოქვეყნებულ კვლევაშია აღნიშნული, საზოგადოებრივი მაუწყებლის იდეა ოთხ მთავარ პრინციპს ეფუძნება: უნივერსალურობას, მრავალფეროვნებას, დამოუკიდებლობასა და გამორჩეულობას (პრაისი და რაბოი, 2011). ამათგან ეთნიკური და რელიგიური უმცირესობების კონტექსტში განსაკუთრებით მნიშნელოვანია უნივერსალურობისა და მრავალფეროვნების პრინციპები. „უნივერსალურობის პრინციპი გულისხმობს, რომ საზოგადოებრივი მაუწყებელი ხელმისაწვდომი უნდა იყოს ქვეყნის ყოველი მოქალაქისათვის. მრავალფეროვნების პრინციპი მიემართება როგორც საეთერო პროგრამათა მრავალფეროვნებას, ასევე სამიზნე აუდიტორიასა და თემებს, რომელზეც ის მუშაობს“ (ქავთარაძე, 2021, გვ. 9).

დასკვნის სახით, ჟურნალისტებმა უნდა სცადონ, რომ სხვადასხვა საზოგადოებრივი ჯგუფების წარმომადგენლებს თავიანთი მედიის პლატფორმები დაუთმონ მნიშვნელოვან საზოგადოებრივ საკითხებზე სასაუბროდ. ამით მედია არა მხოლოდ ხელს შეუწყობს ამ ჯგუფების საზოგადოებაში ჰარმონიულ ცხოვრებას, არამედ თავიდან აირიდებს ჯგუფებისა და კონკრეტული ადამიანების ეგზოტიზაციის საფრთხესაც, რაზეც შემდგომშიც ვისაუბრებთ.

ენასთან დაკავშირებული საკითხები

ამა თუ იმ საზოგადოებრივი ჯგუფის საზოგადოებაში სრული ჩართულობისა და დანარჩენ საზოგადოებასთან ჰარმონიული თანაცხოვრებისათვის ენას და ენის გაგების შესაძლებლობას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება. მიუხედავად ამისა, ენის არცოდნა არ უნდა იყოს ხელისშემშლელი ადამიანებისათვის, რომ საკუთარი თავის რეალიზება მოახდინონ, სრულყოფილად შეძლონ სხვადასხვა სერვისით სარგებლობა, შეძლონ ამა თუ იმ თემაზე (განსაკუთრებით კი საგანგებო სიტუაციებში) ინფორმაციის მიღება და არ უნდა გაუჩნდეთ განცდა, რომ ისინი საკუთარ ქვეყანაში მეორეხარისხოვანი მოქალაქეები არიან.

ენის საკითხი ხშირად წამოიჭრება ხოლმე საქართველოს მეზობელ ქვეყნებთან მოსაზღვრე რეგიონებში, სადაც სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფი კომპაქტურად ცხოვრობს. სხვადასხვა მონაცემებით, ქვემო ქართლსა და სამცხე-ჯავახეთში ქართული ენის ცოდნა მხოლოდ 65%-ს აღწევს, რაც დიდწილად სახელმწიფოს განათლების სისტემაში არსებული ფუნდამენტური ხარვეზებით არის გამოწვეული. როგორც მარიამ შალვაშვილისა და აითაჯ ხალილლის კვლევაშია აღნიშნული, მაგალითად, აზერბაიჯანულენოვან თემში, „თემის ნაწილი, განსაკუთრებით კი ახალგაზრდები, ენას კარგად ფლობს“, თუმცა „აზერბაიჯანელებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში ენის არცოდნის პრობლემა სისტემური საკითხებითაა გამოწვეული“. მათ შორისაა არასაკმარისი ძალისხმევა ენის შესწავლისათვის საჭირო პროგრამების შესაქმნელად და არასათანადო ხარისხის სახელმძღვანელოები.

თუმცა ეს თემა მედიაში როგორი აქცენტით მოხვდება, ეს თავად მედიის სარედაქციო პოლიტიკისა და ჟურნალისტების ეთიკური სტანდარტების გადასაწყვეტია. არსებობს ცდუნება, რომ მედიამ ენის არცოდნა ადგილობრივ ჯგუფებში სურვილის არქონას, მათ სიზარმაცეს, მათ „არასაკმარის ერთგულებას“ დაუკავშიროს, ეთნიკური წარმომავლობის გამო. სინამდვილეში, ამ თემის გაშუქებისას სიმძიმის ცენტრი მოდის არა თავად იმ ადამიანებზე, რომლებიც ვერ ახერხებენ ქართულად სრულყოფილ კომუნიკაციას ან მედიის მოხმარებას, არამედ მათთვის ქართული ენის სწავლებასა და მათ ინტეგრაციაზე პასუხისმგებელ ხელისუფლების სხვადასხვა შტოზე.

შესაბამისად, ენასთან დაკავშირებული საკითხები მედიამ არ უნდა აქციოს ეთნიკური ჯგუფების დამატებითი დისკრიმინაციის, მათი „სხვად“ წარმოჩენის წყაროდ. საზოგადოების დაყოფა ენის საფუძველზე „ჩვენ“ და „სხვად“, „ცენტრად“ და

„პერიფერიად“, რასაც მედიაში დასაქმებულმა ადამიანებმა, შესაძლოა, ნებსით თუ უნებლიედ ხელი შეუწყონ, წინააღმდეგობაში მოდის მედიის როგორც ჰარმონიული საზოგადოების ხელშეწყობი ინსტუტუციის გაგებასთან. ქართულ მედიაში დრო და დრო გვხვდება ხოლმე სიუჟეტები, სადაც საუბარია „ცენტრიდან“ „პერიფერიის“ განსანათლებლად ჩასულ ეთნიკურად ქართველებზე, რომლებიც ადგილობრივ მოსახლეობას „წარმატების მიღწევაში“ ეხმარებიან. ერთი შეხედვით მსგავს სიუჟეტებში დისკრიმინაციული განწყობა არ გვხვდება, თუმცა ამ სიუჟეტებსა და სტატიებს წინაპირობად იმთავითვე უდევს ეთნიკური უმრავლესობის უპირატესობის განცდა, რაც ამძაფრებს ამგვარ დაყოფას.

ნაცვლად ამისა, მედიამ უნდა გაიხსენოს თავისი ე.წ. „მოდარაჯე ძაღლის“ ფუნქცია და კითხვები დასვას სახელმწიფოს პასუხისმგებლობასთან, სერვისებსა და რესურსებთან დაკავშირებით, მათ ხარისხზე, მიწოდების ფორმაზე, შინაარსზე, ეკონომიკურ და სოციალურ წინაპირობებზე, რომელიც ამ ჯგუფებში ენის სწავლას მიმზიდველსა და სასურველს გახდიდა.

აღსანიშავია, რომ ენის არცოდნის გამო, ამ რეგიონებში მცხოვრები ადამიანები, შესაძლოა, უფრო უკეთ იყვნენ გათვითცნობიერებულები მეზობელი ქვეყნების საინფორმაციო რეალობაში, ვინაიდან ინფორმაცია მათთვის გასაგებ ენაზე მიეწოდებათ. მიუხედავად ამისა, ეს არ უნდა გახდეს მიზეზი იმისთვის, რომ მედიამ ეს თემა მხოლოდ უსაფრთხოების პრიზმაში გაატაროს და ეთნიკური უმცირესობები ეროვნული უსაფრთხოებისათვის რისკისად წარმოაჩინოს. ჩვენს მედიაში დრო და დრო გამოჩნდება ხოლმე სიუჟეტები თუ სტატიები, რომლებშიც საუბარია ბუნდოვან კავშირებზე ეთნიკურ უმცირესობებსა და მეზობელ სახელმწიფოებს შორის. ასეთი განწყობა მედიაში განსაკუთრებით მაშინ იჩენს ხოლმე თავს, როდესაც ნაციონალისტური თუ სხვადასხვა პოლიტიკური ჯგუფები ცდილობენ, რომ ეთნიკური და რელიგიური სენტიმენტები თავიანთი დღის წესრიგისთვის გამოიყენონ. მნიშვნელოვანია, რომ მედია არ გახდეს ამგვარი დღის წესრიგის ნაწილი და ნაცვლად კონსპირაციული და დაუსაბუთებელი კავშირების შესახებ ინფორმაციის გავრცელებისა, კრიტიკულად მიუდგეს ამ იდეოლოგიური თუ პოლიტიკური ჯგუფების დღის წესრიგს, დასვან მწვავე კითხები და მაყურებლებს/მკითხველებს აჩვენონ, თუ რა მოტივაცია უდევს საფუძვლად მსგავსი განწყობების გაჩენასა და ხელშეწყობას.

ისტორიულ და კულტურულ მემკვიდრეობასთან დაკავშირებული ამბების გაშუქება

იმის გათვალისწინებით, რომ საქართველო, როგორც ერი და როგორც სახელმწიფო, ეთნიკურად და რელიგიურად მრავალფეროვან გეოპოლიტიკურ და ისტორიულ კონტექსტში ჩამოყალიბდა და არსებობდა საუკუნეების განმავლობაში, ეთნო-ნაციონალისტური და რელიგიური სენტიმენტები კვლავაც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს საჯარო დისკურსებზე. ამგვარი დისკურსების კვლავწარმოებაში განსაკუთრებულ როლს ასრულებს მედია და მედიის მიერ ისეთი თემების გაშუქება, რომლებიც ისტორიულ თუ კულტურულ საკითხებს, მაგალითად, სამზარეულოს, ლიტერატურას ან არქიტექტურას შეეხება ისტორიულ ჭრილში. ამის ნათელი დადასტურებაა მედიის დღის წესრიგში ისეთი თემების მოხვედრა, როგორიცაა საუკუნეების წინანდელი ომები (მაგალითად, „დიდგორის ომი“), კონკრეტული საკვების წარმომავლობის შესახებ მომზადებული მედიამასალა და ა.შ. მედიამ უნდა გაიაზროს მსგავსი თემატიკის სენსიტიურობა და სიუჟეტებისა თუ სტატიების მომზადებისას უნდა შეეცადოს, რომ ყურადღება გაამახვილოს არა კონფლიქტსა და ემოციურ სარჩულებზე, არამედ ქვეყნებს შორის კულტურულ და ტრადიციულ მსგავსებაზე, ურთიერთგავლენასა და ამ ურთიერთობების მიერ მოტანილ კულტურულ მრავალფეროვნებაზე.

ასევე გასათვალისწინებელია ე.წ. მრავალთაობიანი ტრავმის საკითხი, რომლის შესახებაც უფრო დაწვრილებით ტოლერანტობისა და მრავალფეროვნების ინსტიტუტის (TDI) მიერ გამოქვეყნებულ სახელმძღვანელოშია საუბარი. როგორც სახელმძღვანელოშია მითითებული, მრავალთაობიანი ტრავმისათვის „დამახასიათებელია წარსულის მოვლენების და პრობლემების თანამედროვე კონტექსტში გადმოტანა და კონკრეტული ეთნიკური თუ ეროვნული ჯგუფის, ასევე სახელმწიფოს წინააღმდეგ ემოციურ ნიადაგზე შუღლის გაღვივება“. ეს საკითხი, როგორც წესი, იმ ქვეყნის მოქალაქეებთან მიმართებით იჩენს ხოლმე თავს, რომლებთანაც საქართველოს ისტორიულად რთული ურთიერთობა ჰქონდა, მაგალითად, თურქეთი, ირანი და რუსეთი.

თავისთავად ცხადია, რომ მსგავს ეთნო-ნაციონალისტურ სენტიმენტებზე პასუხისმგებლობა მხოლოდ მედიას ვერ დაეკისრება. ამ თემებით მანიპულაციის პროვოცირებას ცალკეული საჯარო აქტორები მიმართავენ ხოლმე. მიუხედავად ამისა, მედიას აქვს ამ დისკურსების რაციონალურ სიბრტყეში გადატანის რესურსი. ისეთ თემებზე დისკუსიის წამოწყება, რომლის შესახებაც ინფორმაცია ჯერჯერობით

მეცნიერებსაც კი არ აქვთ, ხოლო არსებული დებატები ძირითადად ეროვნულ სენტიმენტებზე გადის, ხშირად რისკის შემცველია მედიისთვის. ამის კარგი მაგალითია დებატები ე.წ. მაწვნისა და მაწუნის შესახებ, რომელმაც 2022 წელს სოციალურ ქსელებში მორიგი ეთნო-ნაციონალისტური ვნებათაღელვა გამოიწვია. 2022 წელს საქართველოს ხელისუფლებამ სომხეთს აუკრძალა რუსეთში საქართველოს გავლით რძის პროდუქციის შეტანა, რომელიც მარკირებული იყო როგორც „მაცუნი“. ვნებათაღელვის მიზეზი კი ის გახლდათ, რომ მედიის მიერ თემის ე.წ. ფრეიმინგი მოხდა ერებს შორის დაპირისპირების კონტექსტში - „მაწონი“ და „მაწუნი“ - ქართული თუ სომხური?

საკითხის ამგვარი დასმა, სამწუხაროდ, მხოლოდ ეთნო-ნაციონალისტური სენტიმენტებით მანიპულირებას უწყობს ხელს, რაც კიდევ უფრო გასათვალისწინებელია დღესდღეობით, როდესაც ადამიანებს მასობრივად მიუწვდებათ ხელი სოციალურ ქსელებზე. ხშირად სწორედ მედიაორგანიზაციების სოციალური ქსელების გვერდებზე იმართება ხოლმე ნაციონალისტურად დამუხტული დისკუსიები, რაც, ნაცვლად საერთო ენის გამონახვისა, ეროვნებათა უპირატესობის დამტკიცებასა და კონფლიქტების გაღვივებას უწყობს ხელს.

გარდა ამისა, მედიამ უნდა შეაფასოს რისკები, რომლებიც, შესაძლოა, მოჰყვეს სხვადასხვა თემის საჯარო სივრცეში წინ წამოწევას. მაგალითად, გასულ წლებში პრესის ფურცლებზე ხშირად ხვდებოდა ახალი ამბები რომელიმე ქვეყნის საეჭვო გამოცემებიდან, ამა თუ იმ კულტურული ძეგლის ან მწერლის ქართული წარმომავლობის ეჭვქვეშ დაყენების შესახებ. როგორც წესი, ამგვარი განცხადებების ავტორები ყოველგვარ კომპეტენციას მოკლებული, კონკრეტული იდეოლოგიური დღის წესრიგით მოქმედი აქტორები იყვნენ, რომელთა შესახებაც ქართული საზოგადოება ვერც კი გაიგებდა, რომ არა მედიის მიერ ამ შემთხვევებზე რეაგირება. შესაბამისად, მნიშვნელოვანია, რომ მედიამ აწონ-დაწონოს რისკები, რომლებიც ამა თუ იმ თემის საზოგადოებრივ სივრცეში შემოტანას მოჰყვება, შეაფასოს ინფორმაციის წყაროს რელევანტურობა და ავთენტიკურობა და მიიღოს გადაწყვეტილება, თუ რა კუთხით აჯობებს თემის საკუთარ პლატფორმაზე გადმოტანა.

გენდერთან დაკავშირებული საკითხები (ადრეული ქორწინება)

გენდერთან დაკავშირებული თემატიკა, ზოგადად, ერთ-ერთი ყველაზე მგრძნობიარე თემაა, რომელსაც მედია ხშირად აშუქებს ხოლმე - იქნება ეს ოჯახში ძალადობისა და ფემიციდის შემთხვევები, ქალების შესამოსთან დაკავშირებული საკითხები, აბორტთან დაკავშირებული შემთხვევები, ქალთა უფლებები, ლგბტქი+ უფლებები, ადრეული ქორწინების საკითხი და ა.შ. ხოლო როდესაც საქმე შეეხება ეთნიკურ და რელიგიურ უმცირესობებს მიკუთვნებულ ქალებს, საკითხის სენსიტიურობა კიდევ უფრო თვალში საცემია.

სამწუხაროდ, მედიაში ჯერ კიდევ გავრცელებულია მიდგომა, რომ ადრეული ქორწინების საკითხები ექსკლუზიურად ერთ კონკრეტულ ეთნიკურ, თუ რელიგიურ ჯგუფს დაუკავშირონ. მაშინ, როდესაც სრულწლოვანებას მიუღწეველი ქორწინების შემთხვევები მეტნაკლები სიხშირით მთელ საქართველოში გვხვდება. [მაგალითად](), „2019 წელს იმერეთში ადრეული ქორწინების თაობაზე 18 მიმართვა დაფიქსირდა; კახეთში - 14, შიდა ქართლში - 10, ქვემო ქართლში - 8, სამცხე-ჯავახეთში - 6, სამეგრელო-ზემო სვანეთში - 6, აჭარაში - 6, მცხეთა-მთიანეთში - 6, თბილისში - 5, ხოლო გურიაში - 1“. ადრეული ქორწინება კომპლექსური სოციალური, ეკონომიკური და კულტურული მიზეზებით განპირობებული მოვლენაა და ის უკიდურესად ნეგატიურ გავლენას ახდენს გოგონებისა და ქალების ჯანმრთელობაზე, კეთილდღეობასა და სიცოცხლის ხარისხზე. თუმცა, ხშირად, ეს თემა, მაგალითად, აზერბაიჯანელი თემის და მათი ტრადიციების, კულტურის „ჩამორჩენილობისა“ და „კულტურული განუვითარებლობის“ პრიზმაშია გაშუქებული. მაშინ როდესაც, ასეთ შემთხვევებს გაცილებით უფრო მრავალშრიანი ახსნა სჭირდება, მათ შორის, განათლებისა და დასაქმების ხელმისაწვდომობის პრობლემა, ეკონომიკური პრობლემა და კიდევ უფრო თუ ფართოდ, სრულყოფილი ინტეგრაციის პრობლემა.

გარდა ამისა, ხშირად, ქართული ენის ცოდნასთან დაკავშირებული საკითხების მსგავსად, მედიაში იქმნება ხოლმე წარმოდგენა, რომ ამ პრობლემის მოგვარება მხოლოდ „ცენტრიდან“ ჩასულ ქართველ „მხსნელებს“ შეუძლიათ, რომლებმაც სინათლე უნდა შეიტანონ „ბნელ“ მიკროსაზოგადოებაში. ამგვარი დამოკიდებულება კი, ადგილობრივი აქტივისტების თქმით, საპირისპირო შედეგებს იძლევა. როგორც აქტივისტი [სამირა ბაირამოვა]() აღნიშნავს:

> „როდესაც ნაადრევი ქორწინების საკითხზე დომინანტური ჯგუფის საუბარს ვუსმენ, აშკარაა უცოდინრობა - თითქოს მათ მარტო ორ პრობლემაზე აქვთ

> წარმოდგენა (აზერბაიჯანულ თემში ენის არცოდნაზე და ნაადრევ ქორწინებაზე) და იმის იქით არც კი იციან, რა ხდება. მესმის, მედია სენსიტიური თემების გაშუქებას უფრო ცდილობს, მაგრამ არასოდეს არის პრობლემის არსზე, ან ნამდვილ მიზეზებზე საუბარი. მედია და დომინანტი ჯგუფები ეთნიკურ უმცირესობათა კულტურას წარმოაჩენენ როგორც ეგზოტიკურს, ან პრობლემურს. ნაადრევ ქორწინებას ხშირად უკავშირებენ ხოლმე უცნაურ მითებს, რომლებიც არანაირ კავშირშია თვითონ ეთნიკურ უმცირესობებთან. ხშირად, ცდილობენ, ნაადრევი ქორწინება გააშუქონ როგორც ტრადიცია და რიტუალი. თითქოს, ეს თემის კულტურის ნაწილია და რადგან საქართველო ტოლერანტული ქვეყანაა, ხალხის ტრადიციების ესმის. ამიტომ ხელისუფლებაც ცდილობს, მხოლოდ მსუბუქი ჩარევით შემოიფარგლოს“.

ბაირამოვას ეს დაკვირვება განსაკუთრებით საგულისხმოა იმის გამო, რომ ამგვარი „გამაუცხოებელი“, კულტურულ ესენციალიზმამდე დასული მიდგომა, შესაძლოა, ისეთ მედიასაშუალებებშიც კი შეგვხვდეს, რომლებიც ლიბერალური ღირებულებებისადმი პატივისცემით გამოირჩევიან. შესაბამისად, აუცილებელია, რომ მედიები გასცდნენ „ცნობიერების ამაღლებისა“ და მსგავს აქტებში ჩართული ადამიანების დასჯის დისკურსს და ყურადღება გაამახვილონ განათლებასთან, სოციალურ-ეკონომიკურ წინაპირობებთან დაკავშირებულ საკითხებზე, რომლებიც, შესაძლოა, ხელს უწყობდეს გოგონების ნაადრევ ქორწინებას.

მსგავსი მგრძნობიარე თემების ერთ კონკრეტულ ეთნიკურ ან რელიგიურ ჯგუფზე „ექსკლუზიურად“ მიწერა განსაკუთრებით მძიმე პრობლემაა და ამის დანახვა განსაკუთრებით იოლია მაშინ, თუკი დომინანტურ და უმცირესობას მიკუთვნებულ ჯგუფებს ადგილს შევუნაცვლებთ. გასული რამდენიმე წლის განმავლობაში, საქართველოში ფემიციდის არაერთი ტალღის მომსწრენი გავხდით. ძალადობის უმეტეს შემთხვევებში ეთნიკურად ქართველი ადამიანები არიან როგორც მოძალადეები, ისე მსხვერპლები. მიუხედავად ამისა, მედია სულაც არ ცდილობს, რომ ოჯახური ძალადობა და ქალთა მკვლელობები ექსკლუზიურად ქართული კულტურის პრობლემად წარმოაჩინოს (რაც სწორიც არის). ამის პარალელურად კი, ადრეული ქორწინების შემთხვევებზე მასალების მომზადებისას, პირველი, რასაც ჟურნალისტები აკეთებენ ხოლმე, ეთნიკურად აზერბაიჯანელებით დასახლებულ რეგიონებში იწყებენ შემთხვევებისა და მსხვერპლების ძიებას, რაც არაერთი ადგილობრივი აქტივისტისა და ჟურნალისტის თქმით, მათთვის შეურაცხმყოფელია.

დაბოლოს, როგორც 2019 წელს აშშ-ში, Communications Consortium Media Centre-ის მიერ გამოქვეყნებული მედიის ტენდენციების კვლევა მიუთითებს, ადრეულ ქორწინებებთან დაკავშირებით, მედია არ უნდა დაკმაყოფილდეს მხოლოდ ცნობიერების ამაღლების პრობლემის წინ წამოწევით. ცნობიერების ამაღლებასთან ერთად, არანაკლებ მნიშვნელოვანია სხვა უფრო ფართო სოციალურ-ეკონომიკური და მატერიალურ რესურსებთან დაკავშირებული საკითხების პრობლემატიზაციაც.

კრიმინალის გაშუქება და ეთნიკური უმცირესობები

უხეშად რომ ვთქვათ, კრიმინალი მედიის „საყვარელი“ თემაა. კრიმინალური თემების მედიაში მოხვედრის განსაკუთრებული სიხშირე ამ საკითხების მიმართ საზოგადოების განსაკუთრებული ინტერესით არის განპირობებული. თუმცა ამგვარი შემთხვევების ბუნებიდან და მედიის მუშაობის სწრაფი ტემპიდან გამომდინარე, ასევე განსაკუთრებით მაღალია პროფესიული შეცდომის დაშვების ალბათობა.

ერთი მხრივ, საზოგადოების ინტერესი თემისადმი აბსოლუტურად ლეგიტიმური და ობიექტურია. ადამიანებს უნდა ჰქონდეთ ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რამდენად უსაფრთხოა გარემო, რომელშიც ცხოვრობენ. მეორე მხრივ, დიდია ცდუნება იმისა, რომ ჟურნალისტმა ფაქტების დასაზუსტებლად საჭირო დრო ვერ ან არ გამონახოს და შეეცადოს, რაც შეიძლება მოკლე დროში გადასცეს კრიმინალური შემთხვევების შესახებ ინფორმაცია. ამის რისკი კიდევ უფრო მაღალია დღეს, როდესაც ჟურნალისტები ხშირად პირდაპირ მაუწყებლობენ შემთხვევათა ადგილიდან სოციალური მედიისა თუ სხვა ციფრული პლატფორმების გამოყენებით.

სწორედ ასეთ ცაიტნოტსა და საზოგადოებრივი ინტერესისა და გასენსაციურების ცდუნების ჭიდილში იქმნება იმ ჯგუფების დისკრიმინაციის საფრთხე, რომელსაც კრიმინალის ჩადენაში ბრალდებული ადამიანი ეკუთვნის. მედიაში განსაკუთრებით ხშირია ხოლმე ადამიანების ეთნიკური ანდა რასობრივი ნიშნით გამორჩევა და კრიმინალური შემთხვევების მთელ ჯგუფზე განზოგადების პრაქტიკა. კრიმინალი ვერ იქნება ვერცერთი ეთნიკური თუ რასობრივი ჯგუფის დამახასიათებელი თვისება, ხოლო მედიის მიერ შექმნილი კონკრეტული სახე-ხატების გამო იქმნება ზედაპირული და მასტიგმატიზებელი წარმოდგენები ამა თუ იმ უმცირესობის მისამართით. ამ რისკებს, სოციოლოგიაში, როგორც წესი, იარლიყების თეორიით ხსნიან. მისიამოსავალი წერტილი არის ის, რომ დანაშაული სოციალური კონსტრუქტია,

ხოლო სოციალური კონტროლის განმახორციელებელი აქტორები, მათ შორის, პოლიცია, ძალაუფლებაში მყოფი ადამიანები, ხელისუფლებები, მედია და ა.შ. ძალაუფლებრივი თვალსაზრისით სუსტ პოზიციაში მყოფი ჯგუფებისთვის იარლიყების მიწებებას იწყებენ სტრეოტიპული შეხედულებების გამო. ცალკეული ჯგუფების კრიმინალებად მონიშვნით კი, მედია, ერთი მხრივ, არასწორ ინფორმაციას აწვდის აუდიტორიას, თესავს მორალურ პანიკას და საზოგადოებას უქმნის საფრთხის დაუსაბუთებელ განცდას. მეორე მხრივ, ასეთი პრაქტიკით მედია გაცილებით უფრო მწვავე პრობლემას უქმნის ამა თუ იმ სოციალურ ჯგუფს - ქმნის ნაყოფიერ ნიადაგს ამ ჯგუფების შემდგომი ექსკლუზიისათვის საზოგადოებრივი ცხოვრებიდან და ნეგატიურ როლს ასრულებს უმცირესობის ჯგუფებს მიკუთვნებული ადამიანების ცხროვრებაში.

პირველ რიგში, როგორც გამოცემა მედიაჩეკერი წერს, მედიამ თავი უნდა აარიდოს ცალკეული კრიმინალური შემთხვევების უკონტექსტო გაშუქებას და ნაცვლად ამისა:

- „მედია უნდა ეძებდეს სისტემურ პრობლემას, ჩაუღრმავდეს საკითხს და რელევანტურ წყაროებზე დაყრდნობით, მოიძიოს პრობლემის გადაჭრის გზები.
- ჟურნალისტებმა კარგად უნდა გაითავისონ პასუხისმგებლობა და ის რისკეები, საფრთხეები, ზიანი, რაც კრიმინალური ამბების არასწორ გაშუქებას შეიძლება მოჰყვეს“.

გარდა ამ ზოგადი ხასიათის რეკომენდაციისა, მედიამ განსაკუთრებული სიფრთხილე უნდა გამოიჩინოს კრიმინალთან დაკავშირებული ისეთი საკითხების გაშუქებისას, რომელშიც უმცირესობას მიკუთვნებული ადამიანი მონაწილეობს. უპირველეს ყოვლისა, ჟურნალისტებმა უნდა გაითვალისწინონ, რომ ეთნიკური თუ რასობრივი უმცირესობების წარმომადგენლები, ძალაუფლებრივ ჭრილში, იმთავითვე უთანასწორო მდგომარეობაში არიან. ჩაგვრის, ექსკლუზიის, განათლების მიღების შეზღუდული შესაძლებლობები, სოციალური კონტროლისა და უნდობლობის ისეთი ნეგატიური გამოცდილებები, რომელთაც სხვადასხვა არაპრივილეგირებული ჯგუფი აწყდება, დანაშაულის ჩადენისათვის ნაყოფიერ ნიადაგს ქმნის ხოლმე და მნიშვნელოვანია, მედიას შეეძლოს ამ სტრუქტურული მიზეზების და კონტექსტების ამოცნობა. ამით, რა თქმა უნდა, პასუხისმგებლობისაგან არ თავისუფლდება დანაშაულის ჩამდენი, თუმცა კრიმინალის მთლიან ჯგუფთან დაკავშირებით იქმნება საფრთხე, რომ აუდიტორიამ კრიმინალის წარმომავლობის შესახებ მიწოდებული ინფორმაცია, შესაძლოა, არა ნეიტრალურად, არამედ იარლიყების მისაწებებლად გამოიყენოს, და ამით ხელი შეუწყოს სრულიად უდანაშაულო ადამიანების გარიყვას,

მათ შესახებ ნეგატიური წარმოდგენების შექმნას და მათ დისკრიმინაციას. მედიის მხრიდან ამგვარი წარმოდგენების შექმნა, როგორც წესი, მოგვიანებით ნაყოფიერ ნიადაგს ქმნის ხოლმე ეთნო-ნაციონალისტური კონფლიქტების და სოციალური დაპირისპირებებისათვის, რითაც განსაკუთრებით სარგებლობენ რადიკალური მემარჯვენე და ძალადობრივი ჯგუფები, რომლებიც ეთნიკურ და რასობრივ ჯგუფებთან დაკავშირებულ სტერეოტიპებს საკუთარი იდეოლოგიის გასამართლებლად იყენებენ. სწორედ ამ პროცესს უნდა გაემიჯნოს მედია.

ამიტომაც, ზოგადი რეკომენდაციაა, რომ კრიმინალის გაშუქებისას ჟურნალისტმა თავიდან აირიდოს სავარაუდო დამნაშავის ეთნიკური იდენტიფიცირება და არ გაამახვილოს ყურადღება მის რასობრივ კუთვნილებაზე. როგორც საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის სახელმძღვანელო აღნიშავს, „დაუშვებელია ბრალდებულის ეთნიკური, რელიგიური ან სხვა სახის იდენტობის დაკავშირება დანაშაულთან, ან მისი იდენტობის ხსენება, თუკი ის პირდაპირ არ უკავშირდება დანაშაულის მოტივს“. რა თქმა უნდა, ეს სულაც არ გამორიცხავს ბრალდებულის მოაქალაქეობის შესახებ ინფორმაციის გავრცელებას, ვინაიდან მოქალაქეობა ხშირად მნიშვნელოვანი ფაქტორია კრიმინალის ჩადენისათვის გათვალისწინებული პასუხისმგებლობის განსასაზღვრად. მაგრამ მოქალაქეობა და ეთნიკურობა, თუ რასობრივი კუთვნილება ერთმანეთისაგან რადიკალურად განსხვავებული ცნებებია როგორც კონცეპტუალურად, ისე პრაქტიკაში. შესაბამისად, ჟურნალისტები ვალდებულები ვართ, რომ კონკრეტული ინფორმაციის გავრცელებამდე დავსვათ შეკითხვა: არის თუ არა კავშირი დანაშაულსა და სავარაუდო დამნაშავის ეთნიკურ ან რასობრივ კუთვნილებას შორის? შესაძლებელია, რომ სავარაუდო დამნაშავის ან დაზარალებულის ეთნიკური კუთვნილება დანაშაულის მოტივი ყოფილიყო? სძენს სავარაუდო დამნაშავის ეთნიკური და რასობრივი წარმომავლობა რაიმე არსებითს ამბავს, რომელსაც ვაშუქებთ? თუკი ამ კითხვებზე პასუხია „არა“, მაშინ კრიმინალური ამბების გაშუქებასთან სავარაუდო დამნაშავის ეთნიკური და რასობრივი წარმომავლობა არაფერ კავშირშია. შესაბამისად, კრიმინალის გაშუქებისას ეთნიკურ წარმომავლობასთან დაკავშირებით ერთადერთი ოქროს წესი არსებობს: როდესაც ეთნიკურ წარმომავლობას არაფერი აკავშირებს მომხდარ კრიმინალურ შემთხვევასთან, ნუ გაამახვილებ ყურადღებას ეთნიკურ წარმომავლობაზე!

ძალადობრივი ექსტრემიზმი და რელიგიური და ეთნიკური უმცირესობები

ძალადობრივ ექსტრემიზმსა და ტერორიზმთან დაკავშირებული საკითხები, როგორც წესი, გარკვეული რეგულარულობით აქტუალურდება ხოლმე მედიაში, რეგიონში თუ გლობალურად მიმდინარე მოვლენების ფონზე. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში ეს საკითხები 1990-იანი წლების შემდეგ განსაკუთრებული სიმწვავით აღარ დგას და მედიაც მხოლოდ რეაქტიულად, კონკრეტული შემთხვევებიდან გამომდინარე რეაგირებს ხოლმე, ეს სულაც არ ნიშნავს, რომ ეს თემები არარელევანტური გახდა ან მედიის ყურადღების მიღმა უნდა დარჩეს. როგორც ბოლო წლების დინამიკა აჩვენებს, ძალადობრივი ექსტრემიზმის ბუნება და მასში ჩართული ჯგუფების კომპოზიცია მუდმივად იცვლება. თუკი გარკვეულ სიტუაციაში ერთი კონკრეტული იდეოლოგიზებული ჯგუფი გვევლინება ძალადობის წყაროდ, გარკვეული სოციოპოლიტიკური ცვლილებებიდან გამომდინარე, შესაძლოა, იგი ხვალ სხვა ჯგუფმა ჩაანაცვლოს. მიუხედავად ამისა, მედიამ, კრიმინალის გაშუქების მგსავსად, უნდა გაითვალისწინოს, რომ ამგვარ შემთხვევებთან დაკავშირებული ჯგუფების ეთნიკური თუ რელიგიური ნიშნით ახსნა გაუმართლებელი და კონტრპროდუქტიულია. შესაბამისად, მედია მუდამ მზად უნდა იყოს, რომ თუკი ეს თემები მის დღის წესრიგში მოხვდება, ისინი სათანადო აქცენტებითა და განსაკუთრებული ეთიკურობით გააშუქოს.

როგორც წესი, ძალადობრივ ექსტრემიზმში ჩართული ადამიანები კონკრეტული იდეოლოგიის გარშემო არიან გაერთიანებულები და რელიგია ან ეთნიკური კუთვნილება მხოლოდ ერთ-ერთი მდგენელია ამ ჯგუფების დახასიათებისას. შესაბამისად, ძალადობრივი ექსტრემიზმის მთელ ჯგუფზე გავრცელებით მედია ამ რელიგიას თუ ეთნოსს მიკუთვნებული ადამიანების დისკრიმინაციის საფრთხეს ქმნის, რომელიც, შესაძლოა, იმაზე რთული აღმოსაფხვრელი გახდეს, ვიდრე ძალადობრივ ქმედებებში ჩართულ ცალკეულ ადამიანებთან დაკავშირებული პრობლემის მოგვარებაა. ეს არავითარ შემთხვევაში არ გულისხმობს ძალადობრივი ექსტრემიზმის თუ ტერორიზმის შემთხვევების გაშუქებაზე უარის თქმას. პირიქით, ეს თემები განსაკუთრებით მნიშვნელოვანია აუდიტორიის ინფორმირების თვალსაზრისით. მიუხედავად ამისა, საკითხის სენსიტიურობა არანაკლებ ყურადღებას უნდა იმსახურებდეს ჟურნალისტური საქმიანობის დროს.

საქართველოს სტრატეგიის და განვითარების ცენტრისა (GCSD) და საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის მიერ 2019 წელს გამოცემული სახელმძღვანელო

დეტალურად განიხილავს ყველაზე მნიშვნელოვან საკითხებს, რომელთაც ჟურნალისტებმა ყურადღება უნდა მიაქციონ შემდეგი თემების გაშუქებისას:

- მედიის მიერ ძალადობრივ ექსტრემიზმთან დაკავშირებული საკითხების ნორმალიზების საფრთხე ფრაგმენტული გაშუქებითა და არასწორი აქცენტებით;
- ამგვარ ძალადობრივ ქმედებებში ჩართული ადამიანების გმირებად წარმოჩენა და მათი ჰეროიზაციით მათთვის ერთგვარი მისტიკური სახე-ხატების შექმნა ან მითების გავრცელება მათ ძლევამოსილებაზე;
- ძალადობაში ჩართული ადამიანებისათვის ტრიბუნის დათმობა და მათი მესიჯების მოდიფიკაციის გარეშე გავრცელებით პანიკის დათესვა ფართო საზოგადოებაში;
- პირდაპირ ეთერში სენსიტიური ინფორმაციის გადაცემა ან ჩვენება;
- ვიზუალური მასალების ისე მიწოდება მაყურებლისათვის, რომ იგი დაიზაფროს, რამაც, შესაძლოა, ხელი შეუწყოს პანიკის დათესვასა და ამ ჯგუფის ძლევამოსილების შესახებ არასათანადო წარმოდგენების ჩამოყალიბებას და ა.შ.

თუმცა, წინამდებარე დოკუმენტის მიზნებიდან გამომდინარე, განსაკუთრებით აქტუალურია ამ სახელმძღვანელოში მოტანილი ორი საკითხი, რომელსაც მედიამ ყურადღება უნდა დაუთმოს. ესენია სტერეოტიპიზაცია და არასწორი ტერმინოლოგიის გამოყენება. როგორც საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის სახელმძღვანელო წესებშია მითითებული, კრიმინალის გაშუქების მსგავსად, „უარყოფითი ქმედების დაკავშირება მასში მონაწილე პირების წარმომავლობასთან ან რელიგიურ მრწამსთან არარელევანტურია. ამგვარი ინფორმაცია მხოლოდ ნეგატიურ სტერეოტიპებს აღვივებს და ხელს უწყობს სტიგმატიზაციას“.

ამგვარი კავშირების გაბმა კიდევ უფრო მგრძნობიარე საკითხია ძალადობრივი ექსტრემიზმისა და ტერორიზმის გაშუქების შემთხვევების დროს, ვიდრე კრიმინალური ამბების გაშუქებისას. როგორც წესი, ასეთ დროს მომატებულია საზოგადოებაში ემოციური ფონი, ადამიანები შეშინებულები არიან და კავშირების ამგვარმა გაბმამ, შესაძლოა, წაახალისოს ე.წ. განტევების ვაცების ძიება. შესაბამისად, მედიის მიერ გაკეთებულმა არასწორმა დასკვნამ ან არასათანადოდ გავლებულმა კავშირმა, შესაძლოა, წაახალისოს დამატებითი ძალადობრივი შემთხვევები, როდესაც ადამიანებს უჩნდებათ იმავე რელიგიის თუ ეთნიკური ჯგუფის ადამიანებზე შურისძიების სურვილი, რომელსაც განეკუთვნებიან დანაშაულის ჩამდენი პირი თუ პირები.

სტერეოტიპიზაცია და დისკრიმინაციული გაშუქების შემთხვევები ხშირად უმცირესი დეტალებიდან გამოსჭვივის ხოლმე. ეს არის შერჩეული კადრი ამა თუ იმ რელიგიის ან ეთნიკური წარმომავლობის მქონე ადამიანის ვიდეო და ფოტოფირზე ასახვისას, თუ სიტყვები, რომელთაც ჟურნალისტები იყენებენ ამ ადამიანების აღსაწერად. ძალადობრივ ექსტრემიზმთან და ტერორიზმთან დაკავშირებით ჟურნალისტებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაუთმონ, რომ უსაფუძვლოდ არ გამოიყენონ ე.წ. ემოციურად დატვირთული (emotive) სიტყვები, როგორიცაა „ტერორისტი“, „ექსტრემისტი“, „ამბოხებული“, „პარტიზანი“ და ა.შ. გარდა ამისა, ყოველთვის უკეთესია, თუკი მედია თავად ძალადობრივ ქმედებებში ჩართული ჯგუფების ტერმინებს კი არ გამოიყენებენ (მაგალითად, „ჯიჰადი“ „მოჯაჰედი“, „ხალიფატი“ ISIS და ა.შ.), არამედ, უფრო ნეიტრალურ, აღწერითი მნიშვნელობის სიტყვებს. ამ თემასთან დაკავშირებულ ტერმინოლოგიურ დეტალებზე უფრო დეტალურად არის საუბარი ზემოთ ნახსენებ „ძალადობრივი ექსტრემიზმის გაშუქების სახელმძღვანელოში“, სადაც მოცემულია შესაბამისი რეკომენდაციებიც. ტერმინებთან დაკავშირებულ საკითხებზე ასევე ვისაუბრებთ ქვეთავში, რომელიც დისკრიმინაციის გაშუქების სტანდარტებს შეეხება.

მიგრაციის გაშუქება

მიუხედავად იმისა, რომ საქართველო არ განეკუთვნება იმ ქვეყანათა რიცხვს, სადაც იმიგრაციის განსაკუთრებით მაღალი ნიშნულია, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, როგორც მოსალოდნელი იყო, საქართველოშიც გაჩნდა სხვადასხვა ქვეყნის მოქალაქეთა დიასპორები, რომლებიც სხვადასხვა ეთნიკურ და რელიგიურ ჯგუფს განეკუთვნებიან. ამ ჯგუფების შემოსვლას, ხშირად მოჰყვება ხოლმე ადგილობრივი კონსერვატიული, რადიკალურად განწყობილი მემარჯვენე ჯგუფების მხრიდან წინააღმდეგობა და ეს უკმაყოფილება ხშირად საჯარო სივრცეებშიც გადაინაცვლებს ხოლმე. გასულ წლებში კი ამ ჯგუფების ორგანიზებული სხვადასხვა ეთნო-ნაციონალისტური და დისკრიმინაციული გამოსვლებიც ვიხილეთ. ამის გათვალისწინებით, მედიას განსაკუთრებული მზადყოფნა მართებს იმისათვის, რომ თავისი მუშაობით ხელი არ შეუწყოს საქართველოში შემოსული ჯგუფების სტიგმატიზაციას და მათ დისკრიმინაციას, არ დაუთმოს ტრიბუნა ძალადობის წამახალისებელ ჯგუფებს და არ გაავრცელოს ისეთი სახის სენსიტიური, გადაუმოწმებელი ინფორმაცია, რამაც, შესაძლოა, ამ ჯგუფებისადმი მოსახლეობის დომინანტი ჯგუფების მხრიდან აგრესია გამოიწვიოს.

საერთაშორისო მიგრაციას, რომელიც ხშირად აღმოსავლეთიდან დასავლეთით და სამხრეთიდან ჩრდილოეთით არის მიმართული, ჩრდილო-დასავლურ საზოგადოებებში მკვეთრი წინააღმდეგობა ხვდება ხოლმე, რასაც რიგ შემთხვევებში რასისტული და ნაციონალისტური მოტივი უდევს საფუძვლად. საზოგადოებაში ეთნიკური ქსოვილის შეცვლის, რასობრივი აღრევისა და ე.წ. „დიდი ჩანაცვლების“ შესახებ კონსპირაციული თეორიები, რომელიც ხშირად სწორედ მედიისა და სოციალური მედიის მეშვეობით ვრცელდება, მოსახლეობის ფართო მასებში, უმეტესად არასაკმარისი ინფორმირებულობის გამო, სასოწარკვეთისა და პანიკის საფუძველი ხდება. დასავლური ქვეყნების, როგორც მედიაინდუსტრიას, ისე სამეცნიერო საზოგადოებას, დიდი გამოცდილება აქვთ, თუ როგორ უნდა გააშუქოს მედიამ მიგრაციასთან დაკავშირებული საკითხები, ისე რომ ხელი არ შეუწყოს კონსპირაციული თეორიების გავრცელებასა და მოსახლეობის სხვადასხვა ფენას შორის დაპირისპირებას.

ეთიკური ჟურნალისტიკის ცენტრის მიერ გამოქვეყნებული 5-პუნქტიანი გეგმა ყურადღებას ამახვილებს მიგრაციასთან დაკავშირებულ ზოგად საკითხებზე, რათა მედიამ თავიდან აირიდოს თემის პრობლემური გაშუქება:

- ფაქტები და არა წინასწარგანწყობები
  - ვიცავთ თუ არა სიზუსტეს და ვართ თუ არა მიუკერძოებლები, ინკლუზიურები და ფაქტებზე ორიენტირებულები ჟურნალისტურ საქმიანობაში?
  - ვმოქმედებთ თუ არა პოლიტიკაში არსებული ნარატივებისა და ფაქტების ნაცვლად, ემოციების გამოყენების გარეშე?
  - ვაშუქებთ თუ არა სამართლიანად და გამჭვირვალედ მიგრაციის გავლენას საზოგადოებებზე?
- იცოდე კანონი
  - თავშესაფრის მაძიებელი? ლტოლვილი? ტრეფიკინგის მსხვერპლი? შრომითი მიგრანტი? გვესმის და ვიყენებთ მიგრანტის განმარტებას სწორად და ვაწვდით აუდიტორიას ინფორმაციას მიგრანტთა უფლებებზე, რაც მათ გარანტირებული აქვთ საერთაშორისო, რეგიონული და ადგილობრივი კანონმდებლობით?
- გამოიჩინე ჰუმანიზმი
  - ჰუმანიზმი ეთიკური ჟურნალისტიკის საფუძველია, თუმცა ყოველთვის უნდა შევეცადოთ, რომ ემოციები ვაკონტროლოთ, თავიდან ავირიდოთ ვიქტიმიზაცია, სიტუაციის გამარტივება და ამბის მხოლოდ და მხოლოდ ვიწრო

ჰუმანიტარული პერსპექტივიდან დანახვა ფართო სურათის გაუთვალისწინებლად.

- ისაუბრე ყველასთვის
  - ისმის მიგრანტთა ხმა? გვესმის იმ საზოგადოების ხმა, რომელშიც მიგრანტები დროებით ან დასარჩენად მოდიან? დასვი კითხვები მიგრანტებისა და თემთა სახელით მოსაუბრე ადამიანების შესახებ.
- დაუპირისპირდი სიძულვილს
  - მოვახერხეთ ექსტრემიზმის თავიდან არიდება? საკმარისი დრო დავუთმეთ იმის აწონ-დაწონვას, მიგრანტების შესახებ ანდა მიგრაციის მოწინააღმდეგეთა შესახებ სენსიტიური მასალები სიძულვილს ხომ არ აღვივებს?
  - მიგრანტებზე საუბრისას სიფრთხილით უნდა მოვეკიდოთ ისეთ სიტყვებს, როგორიც არის „ტალღა“, „ნაკადი“ და „მასა“, ისევე როგორც სიტყვების - „რასიზმისა“ და „ქსენოფობიის“ უკონტექსტო გამოყენებას.

გარდა ამ ზოგადი მიდგომებისა, ასევე მნიშვნელოვანია, რომ ჟურნალისტები გათვითცნობიერებულნი იყვნენ მიგრანტი ჯგუფის არსში, მათ წარმომავლობაში, ისტორიულ, სოციალურ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ წინაპირობებში, რამაც, შესაძლოა, განაპირობა ან ხელი შეუწყო მიგრაციის პროცესებს. ასევე, არანაკლებ მნიშვნელოვანია ამბების თხრობისას გამოყენებული ვიზუალური მასალები და მათი ავთენტიკურობა, რომლის რეალურობის გადამოწმებაც ჟურნალისტის უპირველესი მოვალეობაა.

მიგრანტთა და მიგრაციის საკითხებზე დეტალური რეკომენდაციებია შემუშავებული TDI-ის მიერ 2021 წელს გამოცემულ სახელმძღვანელოში ჟურნალისტიკის სტუდენტებისა და მედიისთვის. როგორც ავტორები აღნიშნავენ, „მედიას განსაკუთრებული პასუხისმგებლობა ეკისრება, მიგრანტებთან დაკავშირებული საკითხები არადისკრიმინაციულად და ინკლუზიურად გააშუქოს. ამავე დროს, იცოდეს ყალბი ინფორმაციის ვერიფიკაციის ინსტრუმენტები, რადგან ვირუსულად გავრცელებული საზიანო შინაარსის ინფორმაცია, შესაძლოა, კონფლიქტებისა და ქვეყნებს შორის პოლიტიკური ურთიერთობის გამწვავების საბაბადაც კი იქცეს“. ამის წინაპირობა კი ის არის, რომ სხვადასხვა პოლიტიკური, რელიგიური თუ იდეოლოგიური აქტორები ხშირად ცდილობენ, რომ მიგრანტები ქვეყნის ეკონომიკის, კეთილდღეობის, რელიგიური და ეთნიკური შემადგენლობისათვის საფრთხის შემცველ ადამიანებად წარმოაჩინონ, რომელთა ქვეყანაში შემოსვლასაც აუცილებლად მოჰყვება კრიმინალისა და სექსუალური ხასიათის დანაშაულების ზრდა.

დასკვნა

თანამედროვე, ლიბერალურ-დემოკრატიულ საწყისებზე დაფუძნებულ სახელმწიფოებში, საზოგადოების წევრების ჰარმონიული და სამართლიანი თანაარსებობისა და ჯანსაღი საზოგადოებრივი დისკურსების ჩამოყალიბებაში ინსტიტუციონალიზებულ მედიას განსაკუთრებული პასუხისმგებლობა აკისრია. ეს პასუხისმგებლობა მომდინარეობს არა მედიაორგანიზაციების განსაკუთრებული მეტაფიზიკური ბუნებიდან, არამედ კონკრეტული მატერიალურ და სოციალურ რესურსებზე წვდომიდან, რაც განაპირობებს იმას, რომ მედიას რიგითი მოქალაქეების კეთილდღეობაზე გავლენის მოხდენა შეუძლია. მარტივად რომ ვთქვათ, ინფორმაციის მასობრივი მიწოდება მედიას განსაკუთრებულ ძალაუფლებას ანიჭებს - შეუძლია წვლილი შეიტანოს ცალკეული ადამიანებისა და სოციალური ჯგუფების ბედნიერებასა თუ უბედურებაში. მსოფლიოს უახლესი ისტორიიდან არაერთი მაგალითის მოხმობა შეიძლება, როდესაც მედიამ დადებითი (სამოქალაქო უფლებებისათვის ბრძოლა 1950-60-იანების აშშ-ში, ანტიაპარტეიდული მოძრაობა 1980-იანი წლების სამხრეთ აფრიკაში, არაბული გაზაფხული, #MeToo მოძრაობა და ა.შ.) ან უარყოფითი (1930-40-იანი წლების ნაცისტურ გერმანიაში, რუანდას გენოციდი, ანტიმუსლიმური ტალღა აშშ-ში 11 სექტემბრის ტერორისტული თავდასხმის შემდეგ და ა.შ.) გავლენა მოახდინა ამა თუ იმ საზოგადოებრივი ჯგუფის ბედზე.

გავლენის ასეთი მასშტაბიდან გამომდინარე, განსაკუთრებულია პასუხისმგებლობაც, რომელიც ცალკეულ ჟურნალისტებსა და რედაქტორებს თუ მთლიანად მედიასაშუალებებს ეკისრებათ რელიგიურ და ეთნიკურ უმცირესობებთან დაკავშირებულ თემებზე მუშაობისას. წინამდებარე სახელმძღვანელოს მიზანი იყო, მოკლედ აღეწერა ის მთავარი საკითხები, რომლებიც მეტნაკლები სიხშირით პრობლემურად წარმოჩინდება ხოლმე ქართულ მედიასივრცეში. თუმცა, ეს სულაც არ ნიშნავს, რომ ეთნიკურ და რელიგიურ უმცირესობებთან დაკავშირებული სენსიტიური საკითხები მედიაში აქ განხილული თემებით ამოიწურება. მაგალითად, სახელმძღვანელოში შედარებით ნაკლები ყურადღება ეთმობა სოციალური მედიის განსაკუთრებულ გავლენას ამ თემებზე საზოგადოებრივი დისკუსიების წარმოებისას. ასევე ნაკლები ყურადღება დავუთმეთ ვიზუალური მედიუმების (ფოტო, ვიდეო) გამოყენებას ჟურნალისტურ პრაქტიკაში. თუმცა, სახელმძღვანელოს მიზნებიდან გამომდინარე, ამგვარი შეზღუდვები ბუნებრივია. საბოლოო ჯამში, წინამდებარე პუბლიკაციის მიზანი სულაც არ ყოფილა, დიდაქტიკური და ყოვლისმომცველი ყოფილიყო, რომელიც ჟურნალისტებისთვის ჭეშმარიტების დარიგებას შეეცდებოდა.

შეცდომების დაშვება პროფესიული პრაქტიკის განუყოფელი ნაწილია. შესაბამისად, ვიმედოვნებთ, რომ სახელმძღვანელო იპოვის თავის აუდიტორიას, რომელიც აქ მოტანილ ინფორმაციას მიიღებს როგორც იმპულსს პროფესიული საქმიანობის გაუმჯობესებისა და ჟურნალისტურ პრაქტიკაზე დისკუსიისთვის.

გამოყენებული წყაროები

Cottle, S. (Ed.). (2000). *Ethnic minorities and the media: Changing cultural boundaries* (1. publ). Open Univ. Press.

Fouché, G. (2006, February 6). Danish paper rejected Jesus cartoons. *The Guardian*. https://www.theguardian.com/media/2006/feb/06/pressandpublishing.politics

Goffman, E. (2010). Frame analysis: An essay on the organization of experience. Boston: Northeastern Univ. Press.

Habermas, J. (1991). *The Structural transformation of the public sphere: An inquiry into a category of bourgeois society* (10. print). MIT Press.

Jacobsen, S. J., Jensen, T. G., Vitus, K., & Weibel, K. (2012). *Analysis of Danish Media Setting and Framing of Muslims, Islam and Racism | European Website on Integration*. European Commission. https://ec.europa.eu/migrant-integration/library-document/analysis-danish-media-setting-and-framing-muslims-islam-and-racism_en

Jakubowicz, A. (2007). *The Media and Social Cohesion* (pp. 158–169). https://doi.org/10.1017/CBO9780511481574.015

Keller, P. (2011). *European and International Media Law: Liberal Democracy, Trade, and the New Media*. OUP Oxford.

Lakoff, G. (2005). *Don't think of an elephant!: Know your values and frame the debate*. Scribe.

Lewis, P. M. (2008). Promoting social cohesion: The role of community media. https://repository.londonmet.ac.uk/2585/

McLuhan, M. (2003). *Understanding Media: The Extensions of Man* (W. T. Gordon, Ed.; Critical ed). Gingko Press.

McQuail, D., & Deuze, M. (2020). *Mcquail's media and mass communication theory* (7th ed). SAGE Publications.

Price, M., & Raboy, M. (2011). Public Service Broadcasting in Transition: A Documentary Reader. Center for Global Communication Studies.

Rozado, D., Hughes, R. and Halberstadt, J. (2022) 'Longitudinal analysis of sentiment and emotion in news media headlines using automated labelling with Transformer language models', PLOS ONE, 17(10). doi:10.1371/journal.pone.0276367.

Seemann, A. (2021). The Danish 'ghetto initiatives' and the changing nature of social citizenship, 2004–2018. *Critical Social Policy*, *41*(4), 586–605. https://doi.org/10.1177/0261018320978504

Singh, P., Das, A., Li, J. J., & Lease, M. (2022). *The Case for Claim Difficulty Assessment in Automatic Fact Checking* (arXiv:2109.09689). arXiv. http://arxiv.org/abs/2109.09689

Watt, N. (2006, January 31). Danish paper sorry for Muhammad cartoons. *The Guardian*. https://www.theguardian.com/media/2006/jan/31/religion.saudiarabia